

ქეთრინ როგლა

ჩვენ არ გვძინავს

მოქმედი პირნი:

მთავარი	სილკე მერტენსი წამყვანი ანგარიშთა მენეჯერი, ქალი, 36
პრაქტიკანტი	ნიკოლე დამაშკე პრაქტიკანტი, ქალი, 24
ონლაინი	ანდრეა ბიულოვი ონლაინ-რედაქტორი, ყოფილი ტელე-რედაქტორი, ქალი, 42
მენეჯერი	სვენ ფრათნერი IT (ინფორმატიკულ-ტექნიკური) - მხრდაჭერა, 37
სენიორი	ჰანნეს ოლივერ ბენდერი საკონსულტაციო ფირმის ასოცირებული სენიორი, 32

პარტნიორი

ბატონი გერინგერი

საკონსულტაციო ფირმის პარტნიორი,
48

ჯგუფში შემავალი პერსონაჟები:

მთავარი და სენიორი - ძლიერი პერსონაჟები
მენეჯერი და ონლაინი - შედარებით სუსტი პერსონაჟები
პარტნიორი და პრაქტიკანტი - ექსტერიტორიალური
პერსონაჟები

ქეთრინ როგლა

დაიბადა 1971 წელს ზალცბურგში.

1989 წელს სწავლობდა გერმანისტიკას და პუბლიცისტიკას.

1992 წლიდან ცხოვრობს ბერლინში.

იგი წერს რადიოპიესებს, პიესებს თეატრისთვის და აქვეყნებს რეცენზიებს ფელეტონში და ლიტერატურულ ჟურნალებში, როგორც ავსტრიაში ისე გერმანიაში.

ქეთრინ როგლას მრავალი ჯილდო აქვს მიღებული, მათ შორის არის: „Italo-Svevo“ (2001წ.) და ანტონ ვილდგენის სახელობის ჯილდო (2009 წ.)

2004 წელს დაჯილდოვდა პიესა „ჩვენ არ გვძინავს“, ბრუნო კრაისკის სახელობის ჯილდოთი, როგორც საუკეთესო პოლიტიკური ნიგნი.

2005 წელს დაჯილდოვდა ზალცბურგის ხელოვნებისა და კულტურის ფონდის ჯილდოთი.



პ რ ო ლ ო ბ ი

პარტნიორი: ეს სულაც არაა საინტერესო! ბევრად უკეთესი იქნებოდა, ვინმე იზრავლი-პალესტინის კონფლიქტების დარგში მომუშავე ყოფილიყო. ანდა - დიპლომატი. მაგალითად, ფრანგი, ამერიკელი ან ბრიტანელი, სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი. უნდა ვიკითხოთ, ასეთი რამ თუ არის შესაძლებელი. ვფიქრობ, უინტერესო არ იქნებოდა. შეიძლებოდა, პოლიტიკოსებიც ყოფილიყვნენ. ისინი, ვინც საერთაშორისო პოლიტიკითაა დაკავებული და არა ჩვენს, საშინაო პოლიტიკაში მოღვაწენი. ისეთი ადამიანები გვჭირდება, რომლებიც საქვეყნოდ არ ჩანან, მაგრამ სინამდვილეში ბევრ რამეს მართავენ.

(მოკლე პაუზა)

ანდა ეს იარაღის ინსპექტორები. ბატონი ბლიქსი. დიახ, მაგალითად ბატონი ბლიქსი ბალდადში. შეიძლება ბალდადში არც იყოს. შეიძლება იყოს კიდეც. ანდა ხალხი, რომელიც ატომური იარაღით ვაჭრობითაა დაკავებული. ამანაც შეიძლება ისეთი ინტერესი, გამოიწვიოს, როგორსაც ჟურნალისტი იწვევს.

ა, ჟურნალისტი არ გინდათ? აბა ვინ?

(ტოვებს იქაურობას)

1 სურათი

თამაში ინჟება: საკუთარი თავის ნარდგანა

1 სცენა:

**პოზიციის მინიჭება: გამომიან მთავარი,
მენეჯერი, პრაქტიკანტი, ონლაინი, სანიორი**

მთავარი: რა? ინჟება?

მენეჯერი: მუშაობს?

პრაქტიკანტი: დავინწყით საუბარი?

ონლაინი: მოკლედ, ლაპარაკი სწრაფად ისწავლა, “თითქოს საშინლად ეჩქარებოდაო!” ბოლოსდაბოლოს უჩვეულო ხომ არაფერია, კინალამ თქვა “არაადამიანური”.

მთავარი: არა, ჯერ ლაპარაკი არ შეიძლება.

მენეჯერი: კი, როგორ არა, მუშაობს.

პრაქტიკანტი: არ დაიჯერო.

ონლაინი: არა, ლაპარაკთან დაკავშირებით ამ ქალს პრობლემები არასოდეს ჰქონია. უკვე დასაწყისშივე ჰქონდა იმის შიში, რომ მათ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ვერაფრით შეაცვლევინებდა. მაშინ ამისათვის უბრალოდ მეტისმეტად მორიდებულიც კი იყო. შიშობდა, რომ მისი არაკვალიფიციურობა შეუმჩნეველი არავის დარჩებოდა. სინამდვილეში კი, ეს არც არავის აღელვებდა, რადგან ყველა, პირველ რიგში, საკუთარი არაკვალიფიციურობით იყო დაკავებული. თავის საქმის პროფესიონალი საერთოდ ხომ ძალიან ცოტაა, მაგრამ იგი ამას ძალიან გვიან მიხვდა.

შეხვედნენ და უთხრეს, ჩვენთან კარგი აღარაფერი
ხდებაო.

პრაქტიკანტი: მაგრამ, სილკე მერტენსივით სააგენტოში მუშაობის
გამოცდილებაზე უარს არც ის იტყოდა. ნეტავ, მედიაში
მუშაობის გამოცდილება მაინც ჰქონოდა! ან სააგენტოში
მუშაობის გამოცდილება მაინც შეეძინა. ამაზე არც
კი ოცნებობს. საქმე ის არის, რომ გარკვეული დრო აქ
საზღვარგარეთ იმყოფებოდა და მხოლოდ ახლახანს
დაბრუნდა. ცხადია, ამიტომ მუშაობის არანაირი
გამოცდილება არა აქვს. სამი წლის წინ უთხრეს,
ექსპოზე გადი, იქ კარგად შეძლებ მუშაობასო, მაგრამ
ამის ნაცვლად ამერიკაში წავიდა. ახლა კი ხვდება, რომ
შეცდომა დაუშვა, რადგან იქ მიღებული გამოცდილება,
აქ არაფერში არგია. პრაქტიკანტის ადგილები
საერთოდ არ არის გათვალისწინებული მათთვის, ვისაც
განათლება ამერიკაში აქვს მიღებული. აქ მხოლოდ
ისაა მნიშვნელოვანი, გაქვს თუ არა სააგენტოში ან
მედიის სფეროში ნამუშევარი. ისიც, განათლება უნდა
გქონდეს მიღებული. ანუ მარტო მედიაში მუშაობის
გამოცდილებაც არ კმარა, რადგან დღესდღეობით
მხოლოდ სპეციალური ცოდნა თუ ფასობს. მაგრამ
არ ესმის, ეს ცოდნა საიდან უნდა დააგროვო, როცა,
ელემენტარულად, პრაქტიკანტადაც კი არსად
გიღებენ. აქაც, ეს ადგილი ძლიერ მოიპოვა. თუმცა,
როგორც იცით, აუნაზღაურებელი სამუშაოა, წმინდა
საორგანიზაციო. მხოლოდ წვენის მირთმევა, ადგილზე
მომსახურება და მსგავსი რალაცეები ევალება.

II სტანა:

სანარმო: მთავარი, მანუჯერი, მონაინი, სანიორი,

მთავარი: ხო, რაზე შევჩერდით?

მენეჯერი: ხო, რაზე შევჩერდით?

მთავარი: შეგვახსენეთ რა, სად შევჩერდით!

მენეჯერი: კიდევ ერთხელ ამბობს, რომ ვერ იძინებენ, ვერ იძინებენ და მორჩა. ეს მისი აზრია. მას რომ ჰკითხოთ, ეს ფაქტიურად შეუძლებელია, რადგან ორგანიზმი საერთოდ არ იკარებს ძილს. ძილის გარდა ყველაფერი შეუძლია. ამკარად რაღაც გამოსავალი უნდა მოძებნოს.

ონლაინი: იქნებ, შიგადაშიგ მაინც წაუძინონ ხოლმე?

მთავარი: ხო, ერთი წუთით მაინც რომ ჩათვლიდონ...

ონლაინი: სამუშაო მაგიდაზე...

სენიორი: ან ავტოფარეხში დაყენებულ მანქანაში. ამას სხვებიც აკეთებენ. დიდ გარაჟებში ან შენობებში, სადაც დიდი ავტოფარეხებია.

მენეჯერი: ზოგი იმასაც ამბობს, ფეხზე მდგომს მძინავსო, თუმცა მე ეს არასოდეს მინახავს.

მთავარი: პირადად მას თვითფრინავში უყვარს გამოძინება. ადრე, როცა გადარბენაზე იყო და ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა, ცარიელ ოთახში ჩაიკეტებოდა და ათი-თხუთმეტი წუთით თვალს მიხუჭავდა ხოლმე.

სენიორი: მაგას ყველა აკეთებს! იტყვიან, ერთი წუთით გავალ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავო, სინამდვილეში კი სამ-ოთხ ოთახს გაივლიან, თავისუფალ სკამს მოძებნიან და ათ წუთს წაუძინებენ.

ონლაინი: მერე რა მოხდა, ყველანი ადამიანები არა ვართ?!

მენეჯერი: კი, მაგრამ აბა ვინმეს გაუბედე და უთხარი, ამას და ამას აკეთებო!

(მოკლე, უხერხული სიჩუმე)

მთავარი: უკვე 16.30-ია რა, ხომ შეიძლება რომ ეს აღინიშნოს? რა არ შეიძლება? კეთილი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. არაფერს ვამბობ იმ საქმეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. შეხვედრებზე, რომლებიც დილით და ნაშუადღევს უნდა ჩავატაროთ. ამ ყველაფერს ახლა აღარ მოვყვები, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და უკვე 16.30-ია. ამის თქმა მაინც ხომ შეიძლება!

(აქ წყვეტს ლაპარაკს)

მენეჯერი: მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ დაძინება არ შეუძლიათ. უბრალოდ არ გამოსდით. ეს ასეა და მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ამას აღიარებენ, თუ არა. შეიძლება ითქვას, რალაც თანდაყოლილი გენეტიკური დეფექტი აქვთ. აბა, სხვა არც კი ვიცი, რა ვუნდო. მაგრამ, ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ადამიანებს ძილის დამახსოვრება რომ შეეძლოთ. აი, კომპიუტერი რომ იმახსოვრებს, ისე. მაშინ ხომ ყველა გამოიყენებდა ამ შესაძლებლობას. ბავშვობაში ჩადებდნენ ინვესტიციებს, რომ მომავალში, რაც შეიძლება მეტი ძილი ჰქონოდათ. ან, ძილის გადატანა რომ შეიძლებოდა ერთი ადამიანიდან მეორეზე. მაშინ ხომ ძილის ბანკებსაც გააკეთებდნენ.

ონლაინი: რა საშინელებაა!

(მოკლე პაუზა, შემდეგ ცდილობს სხვა თემაზე გადაიტანოს საუბარი)

მთავარი: მოკლედ, ეს ბაზრობა, სან-იოზეში, მართლაც ძალიან კარგი გამოდგა. საკმაოდ დიდი, ამ ჩვენი ბაზრობის მთელი ტერიტორიის თითქმის ნახევარი იქნებოდა. რუკებს გირიგებდნენ, თორემ დაიკარგებოდი. ძალზე შთამბეჭდავი იყო.

სენიორი: (ანწყვეტინებს) ვიცი, ეგ რაც არის. და კიდევ, ეს

კონდეციონერები. შიგნით, დარბაზებში, სადაც ბაზრობაა ცივა, მაშინ როცა გარეთ — ზაფხულში შეიძლება 50 გრადუსს აღწევდეს.

ონლაინი: შეიძლება მეტსაც.

მთავარი: ვიცი, ეგ ერთხელ უკვე გამოვიარე, ლაუდერდალეში.

მენეჯერი: და მუდამ ეს ჯეთლეგი!

ონლაინი: ხო, დროის შეგრძნება იკარგება.

(მოკლე, უხერხული სიჩუმე, რის შემდეგაც იმავე თემას უბრუნდებიან)

სენიორი: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხალხი ერთმანეთს ეჯიბრება. მან დაკვირვება აწარმოა და დაადგინა, რომ თანამშრომლებს მართლაც ძალიან ცოტა სძინავთ. ამან უკვე მართლა შეჯიბრის სახე მიიღო. პროექტებზე მუშაობისას საერთოდ აღარ სძინავთ. ბაზრობებზე კი ნულარ იკითხავთ!

მთავარი: არადა ყველამ იცის, რომ გააყენებული დამის შემდეგ კონცენტრაციის უნარი ქვეითდება.

მენეჯერი: ის კი თვლის, რომ უძილო ღამეების შემდეგ უკეთესადაც კი მუშაობს.

მთავარი: როგორც ჩანს, ბედი ნყალობს.

მენეჯერი: კი, ბედი ნამდვილად ნყალობს, რაც მეტს მუშაობს, მით მეტი შეუძლია.

მთავარი: რაც არ უნდა იყოს, ამას დიდხანს მაინც ვერ გაუძლებს.

მენეჯერი: კიდევ რამოდენიმე თვე ნამდვილად გაუძლებს.

მენეჯერი: გაუძლებს, მაგრამ გაუჭირდება.

III სცენა:

სანიორი მართო, სხვაბისაგან მოშორებით.

სენიორი: როგორც ცნობილია, საუკეთესო მარკის მანქანით უნდა იარო. ტანისამოსთან დაკავშირებითაც იგივეა: მონესრიგებული, მაგრამ არა ელუვანტური. ყველაფერს ნაცრისფერი ჯობია. ყველგან გამოდგება: ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, ავტომანქანების ქარხნებში, ოფისებში, მშენებლობებსა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებში. მათი ცხოვრების ელიტარულ სტილს კარგად ვიცნობ. ეს მიხიბარები; ეს მდიდრული ინტერიერი; “რესეფშენისტების” ღიმილი; ბალხის დაღლილი მზერა ექვსსაათიანი ფრენის შექმდე; “ლუფთჰანზას” ყავის აპარატები აეროპორტებში და ა.შ.

როგორც იცით, ასეთ რამეებზე საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეიძლება. გირჩევნია, ენას კბილი დააჭირო და საკუთარი შეხედულებები შენთვის დაიტოვო. ყოველთვის უნდა იცოდე, რისი თქმა შეიძლება და რისი არა. ამასთანავე, სიამოვნებით უნდა აღნიშნო, რომ ქვემოთ საუკეთესო მარკის ავტომობილი გელოდება. ხანგძლივი საუბრით თავი არ უნდა მოაბეზრო. ხოლო, თუკი ვინმე შენგან მხოლოდ კონკრეტულ “კი ან არა” პასუხს მოითხოვს, სწორედ ასეთი პასუხი უნდა გასცე. თორემ, სამსახურს დაკარგავ და მორჩა.

“აქედან მოშორებით ცხოვრობ, სასტუმროში ლუქსი გაქვს, რომელსაც ყოველდღიურად გილაგებენ. ძალიან ბევრს მუშაობ და მეტი აღარაფრის თავი გაქვს. არც იცნობ ვინმეს და არც ცდილობ, რომ გაიცნო, რადგან იცი, რომ რამოდენიმე თვეში სხვა ადგილას გადახვალ. პარასკეობითა, თერთმეტის ნახევარზე, თვითმფრინავი

შენს მშობლიურ ქალაქში ეშვება და იქ, მთელ შაბათ-კვირას, წერილებზე პასუხის გაცემას ანდომებ. შემდეგ, მგ ზავრობის ხარჯები უნდა დაითვალო. ანუ, თავისუფალი დროის კიდევ რვა საათი ამაში მიდის და ასე მიდის ცხოვრება.”

უნდა აღიაროს, რომ ეს სამუშაო გრაფიკი, მართლაც, ცოტა დამთრგუნველია. რათქმაუნდა, ამდენი მუშაობა რომ შეძლო, სხვა აღარაფერზე უნდა იფიქრო. აქ თოთხმეტ საათს, თექვსმეტს თუ არა, ყოველთვის მუშაობენ. მაგრამ, ამ ორ საათს შორის დიდი განსხვავებაა. ეს ორი საათი, რომელსაც, როგორც წესი, დამატებით, შენი თავისუფალი დროის ხარჯზე მუშაობ, შეიძლება, შემდეგ, არც კი აგინაზღაურონ. ეს ორი საათი ყველაზე ძნელი და დამქანცველია, მიიყვამეტეს, როცა იცი, რომ ამ დროს უკვე სახლში უნდა იყო და ისვენებდე. ასეთ ტემპს, დიდხანს, ცოტა ვინმე თუ გაუძლებს.

სულ არ უკვირს, რამდენს მუშაობს და, თურმე, რამდენი შეძლებია. რამოდენიმე დღეა გადაბმულად სამსახურში და ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავს. არც თავისი შრომისუნარიანობა აკვირვებს. მისი იმედით, ვერანაირი სამუშაო ვერ აშინებს. მაგრამ, ის იმავს ითხოვს მისი თანამშრომლებისაგან და ვერაფერს გახდება მათთან, ვინც მასავით ბევრს, უბრალოდ, ვერ იმუშაავებს.

დევნი: “ძილით, რომ მოვკდები, მაშინაც დავიძინებ” –ო, პირდაპირი მნიშვნელობით აღარ უნდა გავიგოთ. ამას უფრო ადრე ამბობდნენ. 90-იან წლებში კი, ეს გამოთქმა, უკვე ცუდ ტონად ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში, მის თაობაში. საკვირველია, ასეთ მცირე დროში ხალხმა რა დიდი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა. რაც დრო გადის, ადამიანი სულ უფრო მეტ გამოცდილებას იძენს. მას, ერთხელაც, დასჭირდება ხეირიანი დასვენება, რათა დაგროვილი ცოდნა უფრო საფუძვლიანად გამოიყენოს.

“სწორი ციტირება გააკეთე!”

“რა, არ შეგიძლია?”

“და კიდევ რა არ შეგიძლია?”

(სენიორი ვადის)

მენეჯერი: ეჰ, დღეს ეს არ დამთავრდება.

მთავარი: ეს, შენ რაც გგონია, ის არაა.

მენეჯერი: აბა, რა არის?

მთავარი: ის ქალი, თავის ტელეფონს, ტბაში გადაგდებს
უპირებსო, ჯერ არ უთქვამს?

ონლაინი: რომელ ტბაშიო? - შეეკითხა.

მენეჯერი: “სულერთია რომელშიო” - უპასუხა. *(ონლაინი მის
ლაპარაკს ბაძავს)* ასე, უბრალოდ, ვერაფერს ვახდები,
ზუსტად უნდა იცოდე, რა გინდა.

მთავარი: ოღონდ ჩემთან ერთად არა.

ონლაინი: “აილე და თვითონ გადახტეო” - უთხრა, მაგრამ მსგავსი
არაფერი მომხდარა.

II სურათი

ისცანა:

**ყველა, პარტნიორის გარდა. ერთმნიშვნელოვნად-
ჯგუფური ისცანა. პრაქტიკანტს ხელში ყავადანის
მსგავსი ნივთი უჭირავს.**

ონლაინი: ცოტა ხნის შემდეგ, დიახ, ისიც კვლავ ქირხის
გაკოტრებაზე ფიქრობს.

მენეჯერი: ვინ არ ფიქრობს ქირხის გაკოტრებაზე?

ონლაინი: ვინ არ ფიქრობს ქირხის გაკოტრებაზე?

მენეჯერი: ვინ არ ფიქრობს ქირხის გაკოტრებაზე?

ონლაინი: გერმანული ენრონ.

მთავარი: ანდა ლანდესბანკი ბერლინი.

მენეჯერი: ღმერთო ჩემო, რა საბანკო სკანდალი იქნება!

ონლაინი: ანდა, ჰოლცმანის. ოჰ, არა! მართლა არა!

სენიორი: გარკვეული დროის შემდეგ ისევ. "სულ ერთიდაიგივე
სურათია!"

ონლაინი: რაღაც ვერ არის ისე ნლები მანძილზე. თუმცა, ეს
არაფერს აღელვებს. ვერც ვერავინ ამჩნევს რაიმეს!
უბრალოდ, ამაზე არავინ საუბრობს. კრედიტები კი, სულ
უფრო იზრდება. მაგრამ შემდეგ, უცბად, ყველაფერი
გაუფასურდება და აღმოჩნდება, რომ ყველამ
ყველაფერი იცოდა და ყოველთვის ყველაფერი გახაგები
იყო. პოსტფაქტუმ ყველაფერი ისეთი ტრანსპარენტული
აღმოჩნდება, რომ ყველას გააოცებს.

მენეჯერი: მერე კი განზრახ მოიყვანენ ისეთ ტიპებს, მანამდე

რომ არაფრად ვარგოდნენ. თანაც იმ მოტივით, რომ კონტრაქტებზე მუშაობა სხვას არაეის შეუძლია. მისი აზრით, ეს სრული აბსურდია.

ონლიანი: აბსურდი, კიდევ რბილი ნათქვამია!

მთავარი: ლეო ქირხის მსგავსი ხალხი უნდა მოიყვანონ და იმნამსვე საქმეში გაერკვევიან. მაგრამ როგორ მოხდება ეს ყველაფერი, აი ესაა საკითხავი.

(შემოდის პარტნიორი)

პარტნიორი: ახლა ეს რომ ესმოდეს, საუბრები მოსალოდნელ კრიზისზე! იმ ნამდვილი კრიზისზე, რომელიც უკვე ყველას ელანდება, ვინლა შეძლებს დღეს გადანყვეტილების მიღებას? მხოლოდ იმას იტყოდა, “თქვენ, რამდენიც გინდათ გეშინოდეთ! მე კი თავი დამანებეთო!”

ონლაინი: მართალია, კრიზისზე განუწყვეტელი საუბარი, უკვე მასაც ყელში ამოუვიდა. სასაცილოდ აღარ ეყოფა, თუ კი კიდევ ეტყვის ვინმე, რომ მალე mtv შემოვა და 300 სამუშაო ადგილს შექმნის და კოკა-კოლაც ესენიდან აპირებს წამოსვლას. ეს ხომ, ჯერ, ვერაფერს შეცვლის. ვერც ესენიდან წამოსული კოკა-კოლა და ვერც mtv, თუნდაც თავისი 300 სამუშაო ადგილით, ქალაქს ვერ ააშენებენ. ამკარად უნდა არსებობდეს სხვა მაგალითი, რათა საქმის წინსვლაში შევძლოთ დარწმუნება.

პარტნიორი: არა, ეტყობა კარგად ვერ დაუგდო ყური. წინსვლაზე მას საერთოდ არაფერი უთქვამს. მხოლოდ იმას ამბობდა, ჯერ წაგებაზე საუბარი ნაადრევიანო. ჯერჯერობით არანაირი წაგება არ გვაქვსო სახეზე. კიდევ თქვა, ვერ ვხვდები, ეს ხალხი განუწყვეტლივ ცუდს რატომ მოეღისო. მართალი გითხრათ, ეს გერმანელებისთვის ძალიან დამახასიათებელიანო. ყველა მუდამ უარესის მოლოდინშიანო.

პრაქტიკანტი: *(ანწყვეტინებს)* ყავა ხომ არ უნდა ვინმეს?

სენიორი: ვინმეს ყავა ხომ არ უნდაო.

მთავარი: მგონი, ვილაცამ აქ ყავა ახსენა?

ონლაინი: *(მიმართავს მთავარსა და მენეჯერს):* ეს ყველაფერი, ცხადია, შიდა ინფორმაცია გახლავთ და შეიძლება ცოტა უტრირებულიც, მაგრამ ფირმა, სადაც ის ორი წლის წინ მუშაობდა, ახლა გაკოტრების ზღვარზეა. თუმცა, ეს ჯერ ცოტამ თუ იცის. მათ ჯერ არც კონკურსი გამოუცხადებიათ და არც არაფერი. თვითონ მას, აღნიშნული ინფორმაცია, ყოფილი თანამშრომლებისგან აქვს, რომლებიც ამბობენ, ამ ფირმას დიდი დღე აღარ უნერიაო. დარგობრივი კონიუქტურა საერთოდ ძალიან სუსტია, მაგრამ იმდენად სწრაფად ეცემა რიცხვები, რომ კონცერნის სათავე აღარ იმუშავებსო. გამუდმებით რალაც უცნაური ხალხი მიდიმოდის და სპეციალისტების საიდუმლო წრე არის შექმნილიო. ცხადია, თხოვეს, არ გაგვთქვაო. თუმცა, თვითონ ფიქრობს, რომ უმჯობესია, ეს ამბავი ყველამ გაიგოს და იქნებ, საქმესაც რალაც ეშველოს.

მთავარი: ცხადია, ამის ოფიციალურად განოცხადების უფლება არა აქვს.

მენეჯერი: რა თქმა უნდა! ოღონდ სახელებს ნუ იტყვი! თორემ, ხომ იცი, ქორი გავრცელდება და ეს სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს.

ონლაინი: ასეთ რამეს მხოლოდ მასმედიის საშუალებით თუ შეიტყობ!

პრაქტიკანტი: მართლა არავის უნდა ყავა?

სენიორი: არავის გინდათ?

ონლაინი: რით ველარ ვაიგო, რომ ეს მისი ყავა არავის არ უნდა!

მთავარი (*ონლაინს*): ფირმის უმუშევრად დარჩენილმა კონსულტანტებმა რალა უნდა ქნან? მართალია, მაკენზისაც უჭირს და იძულებულია ხალხი გაათავისუფლოს. იმავეს აკეთებს ბოსტონ ქანსალთინგი. რას იზამ, ცუდი დრო დაემთხვა.

სენიორი: ყველა ცუდ დღეში აღმოჩნდა. მათ შორის - არტუტ დე ლითლიც. მაქენზიმაც დიდი კრახი განიცადა. სერიოზული პრობლემები აქვს ერნსტო ენდ იანგის სააგენტოსაც. ბოსტონ ქონსალთინგი, ისევე როგორც როლანდ ბერგერი, ახლა ძირითადად რეკონსტრუქციებზე მუშაობენ.

მთავარი: კადრების შერჩევა მათთან საკმაოდ გონივრულად ხდება.

სენიორი: მართალია, თანამშრომლებს გონივრულად არჩევენ. ამისათვის სათანადო მეთოდი აქვთ შემუშავებული.

მენეჯერი: (*ერევა საუბარში*) "კიდევ უფრო უარესადაა ბანკირების საქმე, რომლებსაც ინვესტიციები ეხებათ!"

ონლაინი: აღარაფერს ამბობს ბროკერებზე. "არა — სხვა გზით იარეთო"

პარტნიორი: (*უკნიდან*) კიდევ რამდენი უნდა ილაპარაკოთ ამ კრიზისზე? ეს იგივეა, ლაპარაკობდეთ რეცენზიაზე, რომელიც არ არსებობს. წაგებაზე რომ საუბრობდეთ, კიდევ მესმის.

მენეჯერი: "ცუდი განწყობააო", ეს აქვს მხოლოდ. თუმცა, მეტი რალა უნდა ეთქვა, როცა განუწყვეტლივ მისი და ასევე სხვა ფირმების გაკოტრებაზეა საუბარი. ვინ იცის, იქ რა

ფულები დაიხარჯა. ანდა, რა მოხვდა იქიდან ჯორდანის ხელში. "თემა შეეცვალათო", ამის თქმალა მოახერხა. ვერც კი მიხვდა, თავი რა დღეში ჩაიგდო. მგონი, არც ახლაა მიმხვდარი.

II სცენა: პირადი ცხოვრება

მენეჯერი: კი, თუ ამ კითხვას დაუსვამთ...

პარტნიორი: რატომაც არა...

სენიორი: არა, ცხადია ამაზე ლაპარაკი შეუძლია. დასამალი არაფერი აქვს...

(მოკლე პაუზა)

სენიორი: იფიცება, ჩემი ახლანდელი ურთიერთობა სერიოზული არ არისო. პირადი ცხოვრების ქონას, თავისი, ამდენად დაძაბული, სამუშაო გრაფიკის ფონზე, გარკვეულწილად კიდევ ახერხებს... მაგრამ სრულფასოვან ოჯახს ის ნამდვილად ვერ იყოლიებდა. ეს მას ვერც კი წარმოუდგენია...

პარტნიორი: ეჰ, მყარი ურთიერთობა ამასაც კი გაუძლებდა და თითქოს, მას ასეთი ურთიერთობა ჰქონდა. უნდა აღიაროს, რომ ცოლი გარკვეულ თავისუფლებასაც აძლევს. შვილები რომ ჰყოლოდა, აუცილებლად მათაც დაუთმობდა ყურადღებას... ხო, ეს მისთვის მნიშვნელოვანია. ცხადია, ხშირად ურეკავენ ხოლმე ერთმანეთს. ოჯახი ყველაფერს ურჩევნია. რა იცი, თვითონ ამბობს?

მენეჯერი: მაგალითად, შაბათ-კვირას ტელეფონი ჰქონდა გამორთული. ასეთი რამეები მას უბრალოდ სჭირდება-

ხოლმე. პარასკევს საღამოს უკვე დასაბმელივითაა. გარბის ბარში თავის მეგობრებთან და სვამენ. კვირას კი ძალები უნდა აღიდგინოს, რომ ორშაბთს ისევ სამსახურში შეძლოს წასვლა.

პრაქტიკანტი: მისი ნება რომ იყოს, ნაკლებ დროს დაუთმობდა პირად ცხოვრებას და უფრო მეტ ენერგიას პროფესიულ წინსვლას. მართალია, ასეთ რამეებს ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ დიდი სიამოვნებით მიიღებდა მონაწილეობას რაიმე პროექტში. არც სტაბილურ სამსახურზე იტყოდა უარს, ის ხომ დროებითი სამუშაოებით ირჩენს თავს. მაგალითად, ახლა იცის, რომ ლონდონში უნდა გაემგზავროს, მაგრამ ისიც იცის, რომ ეს არ მოხდება, თორემ, აქ ყველაფერზე მოუწევს თავის დანებება... მაგრამ მაინც იძულებულია, რომ ეს გააკეთოს. ლონდონში თუ გაემგზავრა, ანდა ნიუ-იორკში, რაც ასევე იცის, რომ არ მოხდება, მან თავისი ბოიფრენდიც უნდა დატოვოს. ყველგან შეიტანა განცხადება, რადგან იცის, რომ ყველგან არ მიიღებენ. რას იზამს? ის ხომ, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ პრაქტიკანტია, რომელსაც სამსახური სჭირდება. მაგრამ, თუ კარგად დაფიქრდება, მიხვდება, რომ თავის ბოიფრენდს ის ისედაც თითქმის ვერ ხედავს, რადგან მთელ დროს სამსახურის ძიებაში ატარებს და თითქმის სულ გზაში უწევს ყოფნა. მთელი ეს პროცედურები, რომლებიც განცხადების დაწერასთან და შეტანასთანაა დაკავშირებული, გარკვეულ დროს მოითხოვს. ბოლოს კი გამოდის, რომ არც მას რჩება მეტი დრო პირადი ცხოვრებისათვის, ვიდრე სხვა ნებისმიერ მენეჯერს.

(ლაპარაკის გაგრძელება სურს, მაგრამ აწყვეტინებენ და ანიშნებენ რომ წავიდეს. იქაურობას ტოვებს)

მთავარი: მას საერთოდ არ გააჩნია პირადი ცხოვრება. ისე, ზუსტად არც კი იცის... მაგრამ რომ ჰქონდეს, ვინმე ხომ მაინც ეტყოდა ამას. ისე, საყვარელს, შიგადაშიგ, მაინც სიამოვნებით იყოლიებდა.

ონლაინი: იცოდეთ, რომ ყველგან იტყვის, ამ სექციაში ზედმეტად ბევრს სვამენო.

(ონლაინი წყვეტს და ყურს უგდებს)

ონლაინი: ოჰ, შამპანური? რა საშინელებაა!

(კიდევ ერთხელ წყვეტს)

ონლაინი: ლოთები მართლა თუ უნახავს? ამას რა, სერიოზულად კითხულობენ? კი, ცხადია, ცხოვრებაში ბევრ ლოთს შეხვედრია. ერთი-ორ მაგალითს მოყვებოდა კიდევ. პრობლემა არაა. აი, პრობლემა, ადგილთანაა დაკავშირებული. სულ ერთად უნდა იყვნენ. არამარტო შამპანური უნდა სვან, არამედ ჭიქების მთელი წყება, წყლიანი თეთრი ღვინოც. მხოლოდ კაცების წყება კი არა, წყალნარევი ღვინის ჭიქების წყებაც არსებობს. დაალაგებენ და აუცილებლად უნდა დაიცალოს. შემდეგ კი, სმისაგან, ისე ებინდებათ გონება, რომ გზასაც ვეღარ აგნებენ მარტო.

მენეჯერი: *(ჩურჩულით)* "შე ლოთო!"

(ონლაინი ნაწყენი ტოვებს იქაურობას. შემოდის პრაქტიკანტი. ხელში უჭირავს ქალაღები და მობილური ტელეფონი, რომელიც რეკავს, მაგრამ არავის უნდა, რომ უპასუხოს)

III სცენა: მამენის მუშა

მთავარი: ჩუმად! შემოსავლელში მამენის შეფე მოდის! ყველანი ჩუმად იყავით! ყველა იმ წამსვე გრძნობს მის მოსვლას. თითქოს, ყველა შემოსასვლელი, სადაც ის გაივლის, მისთვის ყოფილიყოს გაკეთებული. ყველა ამ

მაქენზითაა შეპყრობილი. ყველა ფართხალებს და თავის რიგს ელოდება. ვინ ვერ მიხვდება, რომ ყველა სწორედ მასთან არის მოსული. ისე დგანან, გველის პირისპირ ჩამწკრივებული წეროები გეგონება. ეს, ერთ-ერთი, ყველაზე გაერცელებული სცენაა დღეს.

მენეჯერი: ვინმე ბივეელ-ის დამწყებ კურსს ამთავრებს, თუ რატომაა ის დღეს აქ?

პარტნიორი: კი, ვილაც დამწყებ კურსს უნდა ხურავდეს.

სენიორი: გმადლობთ, საჭირო არაა.

ონლაინი: არც მე მინდა.

პარტნიორი: ბივეელ-ის დამწყებ კურსს გამუდმებით უნდა გადიოდეს ვინმე, თორემ დაკარგავს თავის ფუნქციას.

პრაქტიკანტი: რა წინაპირობაა?

სენიორი: სჯობს ასე შეხედო: ვალაც არის აქ და ერთ-ერთი მაინც უნდა იქნას აყვანილი.

პარტნიორი: ვილაცას პრობლემა აქვს. მის ორგანიზაციაში რალაც წესრიგში ვერაა. მოგება აღარ არის.

სენიორი: შეიძლება მის ბაზარს სათანადოდ არ იცნობს. სათანადო ინფორმაციას არ ფლობს იმის შესახებ, თუ რა ხაზით უნდა განავითაროს.

პარტნიორი: კი, მაგრამ, რა შეიძლება რომ ქნას?

მთავარი: მაქენზის მეფეს დაუძახებს. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე ამბობდნენ.

სენიორი: აჰ, მაქენზი ისედაც ერთ-ერთი რელიგიაა. იმედია, ამას სერიოზულად არ აღიქვამს?

მთავარი: ისინი რომ ნახო, შენც სერიოზულად დაინყებ ამის აღქმას.

სენიორი: ღრმადგანათლებული იდიოტები, ჯახბეში დროებითი დიპლომებით, არანაირი არც ცხოვრებისეული და არც სანარმო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება. გუნდში მხოლოდ იმისთვის მუშაობენ, რომ იქნებ ასე სხვებს იდეები მოჰპარონ.

მთავარი: არანაირ ისეთ დიდ პროექტს არ მოსწრებია, ისინი რომ არ ჩარეულიყვნენ. მას კარგად ახსოვს, როგორმა პანიკამ მოიცვა ძველი გამომცემლობა, სადაც ადრე მუშაობდა. ფიქრობდნენ, ჩვენთან მოვა და ეს მთელი ქონება ეღირებაო. დროულად რომ მიმხვდარიყვნენ და წესები დაეცვათ, ყოველ შემთხვევაში, იმასთან დაკავშირებით მაინც, რაც უშუალოდ მას ეხებოდა...

(სენიორს)

ხო, ის მანამდეც ამბობდა, რომ სკანდალი დატრიალდებოდა და, რომ ასეთი მდგომარეობა იყო მოსალოდნელი, მაგრამ მის გაფრთხილებებს არავინ ათხოვდა ყური. ეუბნებოდნენ, რაღა დროს ნერვიულობაა, ან სხვა რამეზე იღელვებ ან საერთოდ შეიკავებო ემოციებისგან თავი. აქ არავის სცალიაო შენთვის, მაგრამ ის მაინც გაიძახოდა, 5000 მარკას, წარმოიდგინეთ, დღეში 5000 მარკას ღებულობენო. აღშფოთებას ვერ მალავდა. დღეში 5000 მარკა ჯდებოდა თითოეული თანამშრომელი. დღეს კი უკვე იცის, რომ ზოგჯერ დღეში 5000 მარკაც არაა საკმარისი. გაიძახოდა 5000 მარკა, 5000 მარკაო. ეს თავისი განყოფილების ხელმძღვანელისთვისაც ჰქონდა ნათქვამი. რაზეც, შემდგომ ბევრს იცინოდა, მაგრამ ადექვატურად არც მისი სიცილი აღიქვა ვინმემ. ოღონდ ახლა ისტერიაში ნუ ჩავარდებიო, ეუბნებოდნენ... რაც მას ძალიან უკვირდა. გარკვეული დროის შემდეგ კი თხოვეს, განცხადება დაენერა სამსახურიდან წასვლის თაობაზე და ასე

გამოაბუნძულეს იქიდან.

სენიორი: აზრის გამოთქმაც კი არ შეუძლო, გასაყიდ ფასთან დაკავშირებით.

მთავარი: *(ანყვეტინებს)* ცხადია, ამაზე არც იყო ლაპარაკი. გასაყიდ ფასთან დაკავშირებით მას არ შეუძლო აზრის გამოთქმა. არც გასაყიდ ფასთან და არც ორგანიზაციის სტრუქტურასთან დაკავშირებით, არც უფიქრია. მხოლოდ შეხედა განყოფილების ხელმძღვანელს და ეგრევე მიხვდა ყველაფერს.

(უყურებს სენიორს და აგრძელებს)

მთავარი: არა მგონია, საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდეს. ამაზე საყვედური ნამდვილად არ ეთქმის.

სენიორი: მაგას არც არავინ ამბობს.

მთავარი: არა, არც საყვედურობს ამას საკუთარ თავს. საერთოდაც არ ფიქრობს ამაზე ალბათ...

ონლაინი: *(ანყვეტინებს)* გარდა ამისა, ხომ არსებობს გარკვეული შიში. რა, განა არ ვიცით, რამდენად ძლიერია შიშის გრძნობა...

სენიორი: ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ზოგი, სხვების მიმართ, უდიდესი პატივისცემით იმსჭვალება, როცა ასეთ ორგანიზაციაში იწყებს მუშაობას. ყველა ვითარებაში ასეა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ურთიერთობას შიში მართავს. ყველაზე ძლიერი იარაღი მათ ხელში არის ის, რომ იციან, თუ ერთად არ იმუშავენ, პრობლემები თვითონვე შეექმნებათ. "ასეთ შემთხვევაში, საკუთარი უკანალი აქვთ გადასარჩენი და ჩვენს წინააღმდეგ ვერაფერსაც ვერ მოიმოქმედებენ.

სწორედ ამას გვასწავლის კონსულტანტის უმაღლესი სიბრძნე.”

პარტნიორი: *(ერთვება საუბარში)* პირიქით, მათ, როგორც თანასწორს, ყოველთვის ისე უნდა ელაპარაკო. “თორემ, ყველაფერი ნყალში ჩაგეყრება. მთელი მისი გუნდი სწორედ ამაზე დგას. შენი პროექტიც ჩაფლავდება, თუ გუნდი თანასწორუფლებიანი არ იქნებაო”.

სენიორი: ცხადია, ის უკვე იმ დონემდე იყო მისული, რომ ღრიალებდა... ისე დააკარგვინა ამ აქციონერმა მოთმინება, რომ სამი საათის განმავლობაში გაუჩერებლად ღრიალებდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელიც სწორედ ეს აქციონერი იყო... მის ერთ-ერთ პროექტში იღებდა მონაწილეობას, სადაც შესყიდვის სრულიად ახალ მეთოდზე იყო საუბარი... და ეს ხელმძღვანელი პირი, მაშინ, განყოფილების გამგეც გახლდათ. «პრინციპში ყველაფერი გასაგებია: ის უნდა ჩამოეშორებინათ.»

(პარტნიორს სურს, რომ შეაწყვეტინოს)

სენიორი: *(აგრძელებს)* ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ხელმძღვანელის მოშორება სურდათ და, ამისათვის, მთელი ორგანიზაცია უნდა დაეკომპლექტებინათ ახლიდან. ის კი — უნდა გამოეყენებინათ. თვითონ ვერაფერს მიხვდა. ან, იქნებ, არც სურდა, რომ რამეს მიმხვდარიყო. ყოველ შემთხვევაში, სრული უვიცობა გამოავლინა. ჩახედულიც კი არ ყოფილა სანარმოს საკითხებში. მაშინ, როდესაც მის გარდა, ყველამ იცოდა ყველაფერი.

პარტნიორი: შეწყვიტეთ ახლა!

სენიორი: ამის შემდეგ, მთელი დღეები წინ და უკან სიარულსა და ფიქრში გაატარა. სანამ არ მიხვდა, რომ სინამდვილეში პრობლემა თავად მასში იყო. მივარდა და მთელი სამი საათი უყვიროდა. «არ გინდა, მისნაირი ტიპის

ღრიალს სამი საათი გაუძლო?!» მითუმეტეს, როცა იცი, რომ ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცია, ხელმძღვანელ თანამდებობაზეა და მუშაობის ოცდაათწლიანი სტაჟი მაინც აქვს.

პარტნიორი: საერთოდ, ასეთი რამის უფლებას საკუთარ თავს არ აძლევს ხოლმე.

ონლაინი: საინტერესოა, ნეტავ რატომ?

პარტნიორი: იცით, ახლა უცებ რაღაც აქვს გასარკვევი. ხომ შეიძლება რაღაცა გაარკვიოს. “ამასთან დაკავშირებით დროის დეფიციტზე ხომ არ იტყოდით რამესო?”

- მართალია, მოდით დროის დეფიციტზეც ვილაპარაკოთ.

- მას ახლა დროის დეფიციტზე სურს საუბარი.

- თუ ეს შესაძლებელია, ის ახლა მართლა სიამოვნებით იტყოდა რამეს დროის დეფიციტზე.

- ის უკვე ხვდება, რომ აქ დროის დეფიციტზე ვერაფერს იტყვიან!

- თუ მის განყოფილებაში დროის დეფიციტზე არაფერს ამბობენ, ესეიგი მათ საერთოდ არ უნდათ რამის თქმა.

- ამის თქმის უფლება მაინც ხომ აქვს?

- აზრის გამოთქმა მაინც ხომ შეიძლება?

(პარტნიორი გაბრაზებული ტოვებს იქაურობას)

პრაქტიკანტი: *(მთავარის ციტირებას აკეთებს)* ჩუმად! მაქენზის მეფე ისევ შემოსასვლელშია, ყველანი ჩუმად იყავით! “ყველა იმ წამსვე გრძნობს მის მოსვლას. თითქოს, ყველა შემოსასვლელი, სადაც ის გაივლის, მისთვის ყოფილიყოს გაკეთებული. ყველა ამ მაქენზითაა შეპყრობილი. ყველა ფართხალებს და თავის რიგს ელოდება. ვინ ვერ მიხვდება, რომ ყველა სწორედ მასთან არის მოსული. ისე დგანან, გველის პირისპირ ჩამწკრივებული წეროები გეგონება. ეს ერთ-ერთი ყველაზე გაერცელებული სცენაა დღეს.”

მთავარი: ალარ უნდა გაჩუმდეს?

მენეჯერი: ხო, მართლა მაგას ვინ ეკითხება.

მთავარი: რამდენი ლაპარაკი იცის!

(ყველა გადის, პრაქტიკანტი მარტო რჩება)

პრაქტიკანტი: აქ ყველა კარგ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ხელმძღვანელებსა და კონსულტანტებსაც კარგად იცნობენ. ის კი ისევ ისეა. არც ფირმებში მუშაობის გამოცდილება აქვს და არც მედიაში. თუმცა, შეიძლება ითქვას, უკვე ყველაფერი აქვს ნაცადი. არადა, როგორ სჭირდება პრაქტიკული გამოცდილება. ნატრობს, ოდესმე მაინც გახდეს კარგი პროფესიონალი და მაღალ დონეზე შესძლოს კლიენტების მომსახურება. პრინციპში, ეს მას უკვე შეუძლია კიდეც. დღესდღეობით, ისეთი ცხოვრებაა, რომ ადამიანი ყველაფერს უნდა აკეთებდე, ყველანაირ სიტუაციას უნდა მოერგო. დასანანია, რომ არც ქალბატონი მერტენსივით აქვს გამომცემლობაში მუშაობის გამოცდილება, არც ქალბატონი ბიულოვივით - მედიაში და არც კონსულტანტად უმუშავია ოდესმე ბატონი ბენდერივით. თორემ, ახლა აქ, ასე ტყუილუბრალოდ ხომ არ იდგებოდა. პრესაში სამსახურზე, ფიქსირებული სამუშაო გრაფიკითა და ნორმალური ხელფასით, დღეს ხალხი მხოლოდ ოცნებობს. სააგენტოში მუშაობაც ასევე სანატრელი გახდა. ასეთ ადგილებში მცირეოდენი გამოცდილებაც ძალზედ ფასობს... რომელიც, შეგიძლია, სხვასაც გაუზიარო.

დღეს ადამიანი, ყველანაირი ხერხებით ცდილობს მიაღწიოს რამეს. ძალზე მნიშვნელოვანია, გავლენიან პირებთან გაკავშირებდეს გარკვეული კონტაქტები. მას, სამწუხაროდ, არც გავლენიანი ნაცნობები ჰყავს და არც თავის გატანა ეხერხება დიდად. ის არც მედიისა და არც

რეკლამის სფეროში იცნობს ვინმეს და არც ონლაინის რედაქციებთან აქვს რაიმე კავშირი. და რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში? ისლა დარჩენია ისევ სტაჟირებაზე, ანაზღაურებად პრაქტიკაზე, ან დროებით, მაგრამ ისეთ სამუშაო კონტრაქტზე მაინც იოცნებოს, რომელშიც ხელფასს მაინც გადაუხდიან.

გასათვალისწინებელია, რომ სხვებს, ყველას დედ-მამა ჰყავთ... საგადასახადო სამსახურში ან აუდიტორად მუშაობს რომელიმე მშობელი. სწორედ ისინი შოულობენ შვილებისათვის ანაზღაურებად პრაქტიკასა და ადგილებს, სადაც მათ სტაჟირების გავლა შეუძლიათ. ზოგს მზრუნველი და, ხშირად, ზედმეტად მზრუნველი მშობლები ჰყავს. მას კი, არ ჰყავს მშობლები. არ ჰყავს იმ გაგებით, რომ მისი დედ-მამა არც საგადასახადო და არც სხვა რაიმე ორგანიზაციის მთავარ კონსულტანტებად არ მუშაობენ და არც ეკონომიკის სფეროში წარმოადგენენ რამეს. ისინი არც სტომატოლოგები არიან. ის, შეიძლება, მცირებიურგერული ოჯახიდან იყოს, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ მშობლები საერთოდ არ ჰყავს. ცხადია, ეს იმ გაგებით, როცა საქმე მის კარიერას ეხება... მაგრამ რას იზამს, მშობლებს ხომ ვერ გამოცვლის... იქნებ, სადმე, ახალი მშობლები გამოეძებნა, ისეთები მის კარიერას რომ წაადგებოდნენ, მაგრამ სად უნდა ეძებოს ისინი?

III სურათი მონეოპოლიზა

ისცანა:

**სიტუაცია, სადაც მხოლოდ პარტნიორი ლაპარაკობს
და ხმის ამოღების საშუალებას არავის აქლავს.**

პარტნიორი: არა, გავათავისუფლებო - არ უთქვამს. ასეთი რამ თავში არც კი მოსვლია. უბრალოდ ამბობდა, არ ავიყვანო მისნაირს... მას შემდეგ, რაც მის გამოსვლას დაესწრო, სამსახურში არასოდეს აიყვანს. არც იმ ხალხს დატოვებს, აქ რომ უაზროდ ირჯებიან. ნესით, არც ის პრაქტიკანტი არ უნდა მიიღოს, რომელიც, როცა გჭირდება, არასოდეს გხვდება თავის ადგილზე... მაგრამ, არც მთავარ საბუღალტრო მენეჯერს ავიყვანო - მხოლოდ ესა თქვა. ბაზრობის დახლების გამო იყო ცოტა განერვიულებული. აბა წარმოიდგინეთ, მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდა ყველა, თუ რა მძიმე და სტრესულია ბაზრობაზე მუშაობა და როცა დასჭირდა ისინი ადგილზე, იქ არავინ დახვდა. ყოველ შემთხვევაში, მან ბაზრობაზე ვერანაირი სტრესული სამუშაო ვერ იხილა. და ახლა თუ დაუნყო ვინმემ კრახზე და ბაზრობის წარუმატებლობაზე ლაპარაკი, ეტყვის, თქვენივე ბრალიაო. რატომ? მარტო ეს დახლი რას ჰგავს?! შეხედეთ ერთი ამ დახლს! კონცეფცია აბსოლუტურად მცდარია. ან მისი მდებარეობა? თან დახლს რომ მიუახლოვდა, მხოლოდ ზურგი დაინახა. წარმოიდგინეთ, ზურგი! ყველზე უარესი, რაც კი ბაზრობაზე შეიძლება იხილოს მომხმარებელმა. ზურგი! რა, ახლა ჯობია გაჩუმდეს!

(მიმართავს მთავარს, რომელსაც სიტყვა უნდა რომ გაანყვეტინოს)

„ასე რომ, ახლა ყური მიგდეთ! ზურგი, ესაა ყველზე უარესი, რაც კი შეიძლება იხილოს კაცმა ბაზრობაზე. წარმოიდგინე, შედიხარ ბაზრობაზე და დახლთან

სამი კაცი გხვდება, მაგრამ შენსკენ ზურგით. ისინი ერთმანეთში საუბრობენ და აზრადაც კი არ მოსდით, რომ მოტრიალდნენ და ყურადღება მოგაქციონ. ცხადია, შთაბეჭდილება იქმნება, რომ შენ, მათ სრულებითაც არ აინტერესებ."

არ არის მართალი?

ჰკითხა, მართალი არ არისო?

კი, და მერე რა!

(მოკლე პაუზა, მთავარი რეაქციას არ აძლევს).

მეორე, ყველზე უარესი, რაც კი შეიძლება იხილოს კაცმა ბაზრობაზე, არის მომსახურე პერსონალი, რომელიც შესაბამისად არ არის ჩაცმული. როცა ასე დგანან, როგორ მიხვდება ხალხი, მათ ბაზრობაზე მომსახურება ევალებათ, საქონლის გადატანა თუ კიდევ სხვა რამე. განუწყვეტლივ ერთმანეთში საუბრობენ. კაცმა არ იცის რაზე. კლიენტი კი დგას და ფიქრობს, რამდენს ლაპარაკობს იმის ნაცვლად, რომ მითხრას, არ ვიცი, ერთი ნუთით თუ შეიძლება, ჩემს კოლეგას დაელოდეთო.

(მენუჯერს)

რა, რამეს ტყუილს ამბობს?

რა, არ არის მართალი?

კი, როგორ არა.

არა, ჯერ არ დაუმთავრებია!

"მესამე, ყველზე უარესი, რაც კი შეიძლება იხილოს კაცმა ბაზრობაზე, არის მიკროფონები, რომლებსაც ხალხს ცხვირწინ უტრიალებენ. თავი ჟურნალისტებადმოაქვთ. საბოლოოდ არაფერს აკეთებენ ამისთვის. მხოლოდ კითხვებით აბეზრებენ თავს და მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. გასაგებია, რისი თქმაც უნდა?"

(ონლაინს)

ხომ გასაგებია, რას გულისხმობდა?
ხომ გაიგეს? ძალიან კარგი.

(მთავარსა და ონლაინს რაღაცის კითხვა უნდათ, მაგრამ მენეჯერი მათ ყურს არ უგდებს)

არა, ის ჯერ არ არის მზად. ალბათ, მალე ხალხსაც დაითხოვს სამსახურიდან. არც იფიქროთ, რომ უკან დაიხვეს. თავისი აზრი სრულიად გარკვევით შეუძლია ჩამოაყალიბოს, როცა ამას გარემოება მოითხოვს მისგან. უკანმოუხედავად გაანთავისუფლებს ყველას. სულაც არ აპირებს დაიტოვოს სამსახურში ისეთი ხალხი, ვინც მხოლოდ ტვირთად აწვება.

უცხოეთის ყოველთვის იოლია განსჯა. სხვის ამბავში ყველა ბრძენია. და არც იშურებენ საკუთარ შესხედულებებს. ამიტომაც არ უყვარს ჟურნალისტები. არა, ვერ იტანს ჟურნალისტებს. რადგან აზრებს მუქთად არიგებენ. რაც მართალია, მართალია, ჟურნალისტები არ უყვარს. ამას წინათ, მოინდომა რამე ემოცია მაინც აღეძრა ქალბატონ ბიულოვში და უთხრა, გასულ წელს 40 000 ფირმა გაკოტრდაო. ამაზე ორჯერ მეტიც კი იყო საფარაუდოო, მიიღო პასუხად. სიამოვნებით ისაუბრებდა ბიულოვთან ორგანიზაციებში არსებულ ბავშვთა სიკვდილიანობაზე. იქნებ, ამით მაინც დაედლია მისი გულგრილობა, მაგრამ იფიქრა, არა აქვსო აზრი. "არა, ქალბატონ ბიულოვს არც ორგანიზაციებში არსებული ბავშვთა მზარდი სიკვდილიანობა ანადვლებს. ნერვიც არ აუტოკდება ამის გამო. არც მიხვედრის უნარი შესწევს და არც აინტერესებსო!"

(მცირედი პაუზა, რომლის დროსაც პრაქტიკანტი წამოემართება და რაღაც, ტელეფონის მსგავსს მოიტანს)

მაგრამ, არც ეგრეა საქმე, რომ ის საერთოდ არ სცემდეს

ხმას იმ დამიანებს, რომლებსაც მისგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ, არა?

(პრაქტიკანტი მიუახლოვდა)

“მის შესახებაც უკვე გარკვეული წარმოდგენა მაქვს შექმნილი”.

პრაქტიკანტი: ჩემზე ლაპარაკობთ?

პარტნიორი: დიახ, დიახ თქვენც ვიცი, რასაც წარმოადგენთ. თუმცა, მაინც გაგესაუბრებით. არც ასე მარტივადაა საქმე.

II სცენა:

ონლაინი და მთავარი: კონკურენცია.

ონლაინი: მოკლედ, ასეთ ტიპს, რაც უნდა, ბოლომდე თუ არ ათქმევინე, კარგად მეყოლე! *(იცინის)* ხომ შეუძლია შენობით გელაპარაკოს? “წინააღმდეგი ხომ არ ხართ, უბრალოდ შენობით რომ მოგმართოთ?” უკვე ხომ ერთმანეთიც გავიცანით. “იმედი მაქვს, ჩემი შეკითხვა არ შეურაცხგყოფთ”.

მთავარი: ის კი პირიქით იტყვის: მოიცა რა, ასეთ კითხვებს ვინ სვამს? ასეთ ხალხს ვინღა აჩერებს. მითუმეტეს, თუ შეატყვევს, რომ სულაც არ არიან დაინტერესებულნი ხანარმოს ღირსეული წარდგენით.

ონლაინი: *(აგრძელებს)* ამიტომაც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არ შეანყვეტინო. ჯობს, რაც კი აქვს სათქმელი, გვიოხრას ბოლომდე და, ამასობაში, მიხვდებით კიდევ, რას წარმოადგენს.

მთავარი: კი, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა აწყვეტინებ, საშუალებას აძლევ, თავი კიდევ უფრო მეტად

გამოავლინოს. ყველა კითხვა გამიზნულად უნდა დაუსვა და საკამათოდ გამოიწვიო. აუცილებლად შეტევაზე გადმოვა. ასეა მიჩვეული და არც სხვანაირად შეუძლია. მისდაუნებურად, შენივე მოსაზრებებს გიპირისპირებს ხოლმე, რაც საქმეს, დიდად ართულებს ხოლმე.

ონლაინი: მაგრამ, იმასაც ნუ ვიზამთ, რომ ვაფიქრებინოთ, თითქოს განზრახ ვინვევდეთ და მტრულად ვიყოთ მის მიმართ განწყობილი. ისედაც, თავიდან ისეთი დაძაბული იყო, აშკარად მტრებად მოგვიჩნია. არც ასე შეიძლება...

(მთავარი წინ გადაიჩურჩულებს. ხვდება, რომ ოთახში სხვა ინსტანციაცაა წარმოდგენილი.)

მთავარი: რა, მართლა ასე თქვა? *(იციინის)* კი, მაგრამ მან არც კი იცოდა, რომ ის ამას ასე აღიქვამდა. ისე, შესაძლებელია, ასეც იყოს. ცოტა მოფაშისტო ტიპს მართლაც წააგავს. *(იციინის)* არა, ცხადია, ამას პირდაპირი მნიშვნელობით არ გულისხმობს. და, რათქმაუნდა, მას დადებითი თვისებებიც აქვს: შრომისუნარიანობა, ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა - მისი აშკარა ღირსებებია. ისიც უნდა ითქვას, რომ გულგრილი არც ისინი დაუტოვებია, ვისაც თავიდან ცუდი უნდოდა მისთვის.

ონლაინი: ეს რა, თვითონ გითხრათ? რა საინტერესოა! მან იცის, რომ აქ გაკვეთილი რაოდენობით მართლაც სვამენ და არც თვითონაა ხოლმე უარზე. მართალია, ზოგჯერ მხოლოდ სხვების ხათრით სვამს, მაგრამ მარტო ასეც არაა საქმე. ქალბატონ მერტენსს საერთოდ გადამეცემა სჩვევია. ნუთუ, ეს სხვა დროს არავის შეუძინევია?

მთავარი: მართალია, ხალხის გაკვირვება ქალბატონ მერტენსს ნამდვილად ეხერხება.

ონლაინი: "არა, მოდი ახლა სერიოზულად!" მთელი წყება ლეინიანი ჭიქები მხოლოდ იმისთვის იქნა მოტანილი, რომ მას განუწყვეტლივ იმაზე ელაპარაკა, რა უსაზღვროდ

კეთილი და კარგი ადამიანია?

მთავარი: თანამდებობის მიხედვით, რომელიც მას უკავია, ის უფრო უზრუნველყოფაზეა პასუხისმგებელი.

ონლაინი: კი, მაგრამ, ვინ დარბის აქეთ-იქით და უამბობს ყველას თავისი წარმატებების შესახებ? წარმატებების, რომელიც, სხვათაშორის, საერთოდ არა აქვს.

(პაუზა. მთავარი და ონლაინი ჩურჩულებენ)

მთავარი: და კონკურენცია? არა, მათ შორის ამაზე ლაპარაკიც არაა. აქ ისინი მხოლოდ საკუთარ თავს ამხნევენ. არა? "ჩვენც სხვადასხვა მისიის შესასრულებლად ვართ მოსული." მაგრამ, ამასობაში, ხალხმა ერთმანეთი გაიცნო, "ახლო მეგობრებიც" გახდნენ, მაგრამ შეიძლება არც...

ონლაინი: ცხადია, უკვე ნერვებზე მოქმედებს, როცა გამუდმებით თავის სამსახურზე ლაპარაკობს, თითქოს დიდი პროფესიონალი მყავდეს. ხუმრობის გარეშე, ის მართლა არ არის ისეთი დიდი პროფესიონალი, რომ სულ ამით მოჰქონდეს თავი. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა სამსახურიდან გამოაგდეს...

მთავარი: საიდან იცის? მასაც ხომ აქვს გარკვეული კონტაქტები. მაგალითად, როლანდ ბერგერთან და მის გუნდთან.

ონლაინი: ხო, ასეთ რამეს კონტაქტების წყალობით მართლაც გაიგებ.

მთავარი: ვის არა ჰყავს მეგობარი საჯარო რეესტრში?

ონლაინი: მაგალითად, თითო მეგობარი მეც მყავს ყველგან.

მთავარი: ვინც ამ სფეროში მუშაობს, ყველა ერთმანეთს იცნობს.

მთავარი: და, როცა ასეთი რამ ხდება? ის, მაგალითად, თავისთავს ეუბნება ხოლმე, „ახლა ნერვებს არ აშყვე, თავი ხელში აიყვანე და სხვა რამეზე გადაიტანე ყურადღებაო.“

ონლაინი: თანაც, ჟურნალისტები აქ მუდმივად ტრიალებენ. კლიენტებიც არიან. ამიტომ, ყოველთვის უნდა შეგეძლოს თავის შეკავება. „ჟურნალისტების სასეირო არ გახდეთ“ - უმეორებს ხოლმე საკუთარ თავს.

მთავარი: მართალია, ასეთ დროს თავის დაკარგვა ნამდვილად არ შეიძლება.

ონლაინი: სულ იმეორებს, ცოტაც მოითმინე, ცოტაც მოითმინე, ახლა ნერვებმა არ უნდა გიმტყუნოს, თორემ ხალხი რას იფიქრებსო.

მთავარი: მართალია. წინასწორობის შენარჩუნება მართლაც აუცილებელია და ეს მხოლოდ სხვებს კი არა, საკუთარ თავსაც უნდა მოსთხოვო. მაგრამ რას იზამ, „ყოველთვის მაინც არ გამოგვდისო.“

III სტენა:

ჩამოსვლა. ყველა ისევ აღგიღწავა.

პარტნიორი: ნეტავ, ერთხელაც ჩამოსრილდეს. სიამოვნებით ჩამოასრილდებოდა კიდევ ერთხელ. “ფაქტია, რომ ჩვენ ყველანი, ცოტა ვერ ვართ ჭკუაზე.”

მთავარი: “ფაქტია, რომ ცოტა დიდხანს მოგვიწია ყველას ლოდინმა.”

პარტნიორი: მაგრამ, ამის გამო, ნერვებს ხომ არ ავიშლით. ფიქრობს, ახლა ნერვიულობის დრო არ არის. ხო,

ნამდვილად არ არის. უმჯობესია, თავი ხელში აიყვანონ და "კარგი იქნება, თუ ახლავე ყველა ქვევით ჩამოვარო". თქვენ რა, ასე არ ფიქრობთ?

მენეჯერი: მაგრამ, ქვევით სიარული უბრალოდ დამქანცველია.

სენიორი: მართალია, ქვევით ჩავიდეთ, ქვევით ჩავიდეთო, ყველა განუწყვეტლივ მხოლოდ ამას გაიძახის. განუწყვეტლივ ვილატვას უჩინებენ, რომ ქვევით ჩავიდეს, მაგრამ ის არ ჩადის და ჩასვლას არც აპირებს.

მენეჯერი: როგორც წესი, მასთან უბრალო დალაპარაკებაც კი ძნელია.

მთავარი: მართალია, მას, როგორც წესი, ვერც კი დაელუპარაკები. სულ წყალს სვამს. ხო, მართლა სულ წყალს სვამს, თანაც ლიტრობით. თითქოს მისი სხეული მთლიანად იყოს სითხისაგან დაცლილი.

ონლაინი: ქვევითაც არ ჩამოდის. რადგან თუ ჩამოვიდა, სულ მეგობრებთან მოუწევს ლაპარაკი. იძულებული იქნება, ხმა მაინც გასცეს ვინმეს.

სენიორი: მოკლედ, როგორც უკვე ყველასათვისაა ცნობილი, ქვევით საერთოდ არ ჩამოდის. რაიმე ახალი პრობლემა წამოიჭრას და ზევით დარჩეს ის ურჩევნია, რადგან მისთვის ყველაზე დიდი პრობლემა ქვევით ჩამოსვლაა.

(ამაზე ყველამ შეხედა)

აი, მაგალითად, მას განუწყვეტლივ მოსდის ავტოავარია. იმის თქმა უნდა, რომ სულ მანქანას ამტვრევს. თვეში ერთხელ მაინც რაღაცას ეჯახება, რის შედეგადაც მისი მანქანა, როგორც წესი, აღარაფრად ვარგა. რა გგონიათ, თვითონ არ იცის, რომ მისი მხრიდან ეს უპასუხისმგებლო საქციელია? აჲ მას თითის დაქნევა სრულებითაც არ სჭირდება. ცხადია, თვითონაც

ურჩევნია, რომ განუწყვეტლივ არ აწყობდეს ასეთ ავარიებს. ამით ხომ ის, არამარტო საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც აზარალებს. აბა ასეთ ავარიებს მარტო ხომ არ მოაწყობს?

(ყველამ შეხედა)

ლოთებსაც იგივე ემართებათ. როგორც ჩანს, მასაც სჭირდება მძაფრი შეგრძნებები და მისი ორგანიზმიც გამუდმებით მოითხოვს ადრენალინს სისხლში. დღესდღეობით, ალბათ, ყველა ასეა. აბა, მანახეთ კაცი, რომელიც ადრენალინის მოზღვავენას არ გრძნობდეს გამუდმებით. ადამიანს ვერ ნახავთ, ვისთვისაც ეს საკითხი აქტუალური არ იყოს.

მთავარი: მერე კიდევ იტყვიან, “მუშაობის ჟინით არიან შეპყრობილი”. მათთვის ადვილი სათქმელია, არა?!

მენეჯერი: სინამდვილეში, საერთოდ არაფერი გაეგებათ.

სენიორი: მერე კიდევ იტყვიან, სამსახურის გამო ყველა გადაირიაო. აიღებენ და ვილაცას გიჟად გამოაცხადებენ, მაშინ, როდესაც სიგიჟისა მას არაფერი ეტყობა. სამსახურის გამო ვის დაუკარგავს ჭკუა. მითუმეტეს, რომ მას ვერც ადექვატურს ვუწოდებთ. უბრალოდ, სამსახური მუდმივ სტრესში ამყოფებს და სხვა რამეზე ფიქრის საშუალებაც აღარ აძლევს.

მთავარი: მერე კიდევ იტყვიან, “მუშაობის ჟინით არიან შეპყრობილი”. აღარც კი სძინავთ საერთოდ, აი, თვითონვე ნახავთ. ასე თუ გაავრძელეს, შეიძლება წნევა დაუვარდეთ და ნერვებმაც უმტყუნოთ.

მენეჯერი: მერე, ისევ მუშაობის მანიად მონათლავენ ამას და ასე ახსნიან მის მდგომარეობას, თითქოს, ეს სიტყვა, ყველაფრის პასუხად გამოდგებოდეს.

პარტნიორი: მოკლედ, ახლა დაბეჯითებით ვერ იტყვის, თვითონ არის თუ არა მუშაობის მანიით შეპყრობილი. თუმცა, ამის განსაზღვრა, ისედაც, ფაქტობრივად შეუძლებელია. საინტერესოა, როდის უნოდებენ ადამიანს მუშაობის მანიით შეპყრობილს და ამას კონკრეტულად რა ფაქტორი განაპირობებს?

მთავარი: მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ მოიტაცეს და ძალით მოიყვანეს აქ ვინმე. განა ყველა ნებაყოფლობით არ არის მოსული?"

მენეჯერი: მართალია, ძალა არავისთვის დაუტანებიათ.

სენიორი: ხო, ნამდვილად არა.

პარტნიორი: ხომ ხედავთ!

მენეჯერი: მაგრამ, იქნებ გრძელვადიან გატაცებასთან მართლაც გვაქვს საქმე. ანუ, ისეთთან, რომელიც უკვე დიდი ხანია გრძელდება.

(აქ, პრაქტიკანტი, რომელსაც უკვე კარგა ხანია საუბარში ჩართვას ლამობს, რაღაცის სათქმელად წამოიწევა)

პრაქტიკანტი: უნდა აპატიოთ, მათი საუბრისთვის ხელის შეშლა არ უნდოდა და შეიძლება მათთვის უცნაურად ყდერდეს, რის თქმასაც აპირებს, მაგრამ ის ტოვებს აქაურობას და ყველას ემშვიდობება.

აღბათ, ასევე სულელურია მისთვის დაწინაურებაზე ფიქრი. მითუმეტეს, რომ ჯერ ის, საერთოდ, სამსახურშიც არ აუყვანიათ. მაგრამ, მან უკვე მტკიცედ გადაწყვიტა. იცის, სამსახურში მოსაწყობად საჭირო განცხადების წერასა და მთელ ამ მარათონს კიდევ ერთხელ ველარ გაუძლებს და, ამიტომაც, ახლა სხვა საქმეზე უნდა გადაერთოს. იგი ერთხელ და სამუდამოდ

ტოვებს ამ მოხელეთა მუდმივი თრობის კოლექტივს, სადაც ყველანი არიან გამომწყვდეულნი. აღარც იმას დაუგდებს ყურს, რასაც განუწყვეტილვ უმეორებდნენ ხალხს, და რაც, არც იურისტებისთვისაა უცხო, არც გამყიდველთათვის და არც აუდიტორებისთვის. იგი ტოვებს იმ ადგილს, სადაც მხოლოდ იმაზეა საუბარი, თუ ვინ ვისი ნათესავია. მას ასეთ საკითხებთან არაფერი აქვს საერთო. ამ ნათესაური კავშირების შესახებ, სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, საგანგებოდ, პატარა ისტორიებიც კი იქმნება. მაგრამ, არც ასე მარტივადაა საქმე. ის, ახლა, ვერც ჩემგან და ვერც მისგან ვერაფერს მიიღებს. გარდა ამისა, ნათქვამი იყო, რომ ყველა ადგილზე უნდა დავრჩეთ და აქედან ფეხი არ უნდა მოვიცვალოთ.

მენეჯერი: მეოთხე დარბაზში შესვლაც კი აკრძალულია.

მთავარი: კი, მაგრამ ჩვენ ახლა მეოთხე დარბაზში არ ვიმყოფებით?

მენეჯერი: მათ ეს არ უთქვამთ.

მთავარი: არა სერიოზულად, ეს მეოთხე დარბაზი არ არის?

ონლაინი: მათ პირველი სართული იგულისხმეს.

მთავარი: საიდან იციან ეს?

მენეჯერი: ყოველ შემთხვევაში ადგილზე უნდა დავრჩეთ.

(პრაქტიკანტი მიდის, მაგრამ მთავარი და მენეჯერი აკავებენ და აჩუმებენ. მთავარი და მენეჯერი საქმით არიან ვართულები. ონლაინი, პარტნიორი და სენიორი რჩებიან. მოკლე სიჩუმე, შემდეგ პერტნიორი იწყებს)

პარტნიორი: რატომ უნოდებდნენ მას მუშაობის უფროსით შეპყრობილს? რომ დაუკვირდე, ზოგჯერ ადამიანი,

მთელ თავის დროს, მართლაც მუშაობაში ატარებს. ისე ლაპარაკობენ, თითქოს ადვილი იყოს, სამუშაო და თავისუფალი დრო ერთმანეთისაგან გაშიჯნო. თავად თვლის, რომ ასეთი შეხედულება აბსურდული თუ არა, უცნაური ნამდვილად არის.

“არა, ადამიანს მუშაობის ჟინით შეპყრობილს მხოლოდ მაშინ უნოდებენ, როცა მას რაღაც ვერა აქვს რიგზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე რატომ უნდა უნოდონ? მსგავსი სახელებით იმათ ამკობენ, ვისაც პროექტები ეშლება და მუშაობა აღარ გამოსდის. ვინც გადაღლილია, ოფლი სდის და ეტყობა, რომ მეტს ვეღარ გაუძლებს. ვისაც უკვე წნევა ანუხებს და ჯანმრთელობის სხვა პრობლემებიც ექმნება. ვინც უზომოდ ეწევა და თითქმის აღარ სძინავს.

მაგრამ ეს ყველაფერი მას ნამდვილად არ სჭირს. არც ოფლი სდის და არც წნევის პრობლემები აქვს. სიგარეტსაც არ ეკარება და ცოლიც ყოველ დღე ურეკავს და ამონძებს. ის სრულიად ჯანმრთელია. ამ მხრივ, მას ყველაფერი რიგზე აქვს. მაგრამ, ასევე ფაქტია, რომ უკვე დიდი ხანია რაღაც სირთულეები შეექმნა. ამიტომაც, ძალაუნებურად იბადება კიოხვა, ნუთუ მხოლოდ ის მუშაობს? ერთმანეთში ლაპარაკობენ, ბატონი გერინგერი მხოლოდ მუშაობს და მეტს არაფერს აკეთებსო. მთელ დროს ოფისში ატარებსო. როცა დილაობით ხალხი სამახურში მიდის, ის უკვე იქაა, და სალამოსაც შინ ყველაზე გვიან ბრუნდებაო. ისიც კი არ იციან, მიდის კი საერთოდ სახლში, თუ ლამესაც იქ ათენებსო. ეს კითხვა მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც ერთი-ორჯერ ხახეს, რომ ლამით მართლაც სამსახურში დარჩენილიყო. ნუთუ მართლა აღარ მიდის სახლში. რატომ? რადგან იქ არაფერი ესაქმება. სამსახურში, თავის სამუშაო მაგიდასთან კი ბევრ საქმეს აკეთებს. მართალია, ის ერთადერთი არაა, ვინც იმაზეა პასუხისმგებელი, რომ სამუშაო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს, მაგრამ

ის აშკარად ერთადერთია, ვინც ამ პასუხისმგებლობას მართლა გრძნობს. ეს ყველამ იცის, მაგრამ მაინც ამბობენ, ბატონი გერინგერი ისე წარმატებულად ველარ მუშაობს, თავს ველარ ართმევს, მას ველარ ენდობიო. არადა, ის მხოლოდ ისეთ პროექტებში იღებს მონაწილეობას, რომლებიც მისგან მათელ ენერჯიას მოითხოვს. ცხადია, სხვებიც მასსავით რომ მუშაობდნენ, აღარ გაუკვირდებოდათ. თვითონაც ძალიან კარგად იცის, მასზე რას ფიქრობენ, ეგ, რაღაც სხვა პლანეტაზე ცხოვრობს, ჯობია ახლა ნუ ვახლებთ ხელს, ერთხელაც აღარაფრის თავი აღარ ექნება და ჩვენ მას უკან ჩამოვიტოვებთო. თან ისე, რომ ვერაფერს მიხვდებოთ.

თუ ასე მოხდა, იკითხავს, თქვენ რა, იდიოტი ხომ არ გგონივართო. მაგრამ იცის, რომ ამაზე პასუხს მაინც ვერ მიიღებს. კარგად იცის, რომ ყველას მისი მოშორება უნდა და წინასწარ აქვთ გათვლილი, როგორ შეიძლება მისი მოცილება. მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდით.

ბოლოსდაბოლოს, ისიც იტყვის, ასე ველარ გაგრძელდება, ჩემს კვალიფიციურობაში ეჭვს ველარავინ შეიტანთო.

(პარტნიორი გადის).

ონლაინი: რა, ახლა მათ თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს? თანაგრძნობა, რომელსაც ახლა ყველა ბუნდერისა და გერინგერის მიმართ განიცდის? "ხო, საყოველთაო თანაგრძნობა მენეჯერების მიმართ! რა კარგი ამბავია! ჯერიყოდა ციფრების საყოველთაო თვლაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რაც სიმართლე რომ ითქვას, არავის ეხერხება, ახლა კი საყოველთაო თანაგრძნობა უნდა გამოხატონ მენეჯერებისა და კონსულტანტების მიმართ, რომელთა ირგვლივაც ეს ციფრები ტრიალებს... და საბოლოოდ, უნდა ამ სეკუნდურ ტაქტიკში გაუჩინარდნენ, რადგან ამ ბატონებს ხელი აღარ

შეუშალონ... მაგრამ ყველაფერი სწორედ თანაგრძნობით
ინყება. ცხოვრებაში ოდესმე მაინც დგება ისეთი
მომენტი, როცა ასეთი ადამიანის მიმართ თანაგრძნობა
უნდა გამოხატო.”

(ონლაინი გადის)

სენიორი: მოკლედ, ეს ყველაფერი ცოტა ტვინის წამლები კი იყო. განსაკუთრებით, თუ დიდხანს გაჩერდებოდა აქ... ყოველ შემთხვევაში მისთვის. მართალია, ამდენი სისულელის მოსმენის თავი არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს უნდა გადაეტანა. ალბათ, ეს ისევ მორიგი გამოცდაა მისთვის. მას უკვე ბევრი გამოცდა აქვს ჩაბარებული ცხოვრებაში და მაინც, გამუდმებით ისეთი რალაცეები ხდება მის თავს, რომ შეგრძნება უჩნდება, თითქოს განუწყვეტილვ გამოცდებს აბარებდეს. არ შეიძლება უფრო ჩქარა? არ შეიძლება უფრო სრულფასოვნად რომ ჩატარდეს ყველაფერი? აქ იმაზე გამოწმებენ, გაქვს თუ არა ძლიერი ნერვული სისტემა. ხო, ისინი მუდმივად აკონტროლებენ ნერვულ სისტემას. განუწყვეტილვ შენს მენტორთან გაქვს გასაუბრება. განუწყვეტილვ შენზე საუბრობენ ერთმანეთში. “კი, კარგად მუშაობს, ყველაფერს სწორად აკეთებს, მაგრამ ფრუსტრაციის მიმართ ტოლერანტობას თუ იჩენსო და გუნდთან მუშაობის უნარი რამდენად შესწევსო?” - ეკითხებიან ხოლმე, ბოლოს, ერთმანეთს. თითოეულზე ოცგვერდიანი საინფორმაციო ბროშურა იქმნება, რომელშიც მდივნისა და გუნდის სხვა წევრების პასუხებია მოცემული და რომლებსაც ისინი, შემდეგ, ხელსაც აწერენ და ეს ყოველთვის ხდება ზედა და ქვედა ინსტანციებში თანაბრად. ამიტომ, ორგანიზაციას ვერავინ დასდებს ბრალს იმაში, რომ იქ თანამშრომლებს არაობიექტურად ანიჭებენ პრივილეგიებს.

IV სურათი:
ჩვენ არ გვიჩინავს

ისტანა:

შიში. შენეჯერსა და მთავარს გარკვეული პრობლემატი აქვთ საკუთარ თავთან და შეხედულებებებთან დაკავშირებით

შენეჯერი: აქ, სულ უფროდაუფრო საშიში ხდება...

მთავარი: ანუ ფიქრობთ, რომ პრაქტიკანტსაც შეეშინდა, არა?

შენეჯერი: რალაცეები მართლაც უცნაურად ეჩვენება. თუხდაც ის, რომ აღარ თვრება.

მთავარი: არ მესმის, რა უხარია.

შენეჯერი: ის სულ უფრო ხშირად ეცემა, მაგრამ ვერაფერს გრძნობს. მას პრაქტიკულად ყველაფრის ატანა შეუძლია.

მთავარი: პირველ რიგში, ხმები, ხმები თუ მოესმა... საინტერესოა, მათი ხმები კარგად თუ გაიგონა.

შენეჯერი: ეს მან გუშინ სალამოს შეამჩნია. აღარც სვამს და აღარც თვრება.

მთავარი: ის მთლიანად ბაზრობის საქმიანობაშია ჩართული.

პარტნიორი: საქმიანობისა რა მოგახსენოთ. საქმიანობის გარდა, იქ ალბათ, ყველაფერი ხდება.

შენეჯერი: ყოველ შემთხვევაში, ფსიქიურად ჯანმრთელ ადამიანს ნამდვილად არ უგავს. მივიდა ამ დასკვნამდე. აშკარად სულიერად ავადმყოფთან აქვთ საქმე. აქ სულ სკანდალებია. ვის შეუძლია ამის ატანა?

(მენეჯერი დახარჩევებს უერთდება, მთავარი მარტო რჩება)

მთავარი: ისევ ვილაცაში აერიათ. ბოლო დროს ის განუწყვეტლივ ვილაცაში ერევათ. აი, ისევ ის ქალბატონი, რომელსაც სამსუხაროდ ვერ ცნობს. ვერ იხსენებს, საიდან იცნობს. ფიქრობს, თავაზიანად მისალმება ვერაფერს უშველისო გარშემო სულ გაბოროტებული ხალხია. ადამიანები აქ ამჟამად სულ უფროდაუფრო გიჟდებიან. აღარც კი იცის, რით შეიძლება ეს ყველაფერი დამთავრდეს.

მენეჯერი: ოდესმე ალბათ მიხვდებიან, რომ მოსამსახურედ ის აქ არავის მოუყვანია. ხომ არ შეიძლება იაფფასიანი ტექნიკოსი ეგონოთ, რომელსაც ნებისმიერ წვრილმანზე შეგიძლია დაუძახო. იმედია, მალე გამოასწორებენ ამ შეცდომას. თუმცა, ჯერჯერობით არაფერი ეტყობათ. შემდეგ ჰკითხა, თქვენ რას აკეთებდით, და ის რას ამბობდაო?

მთავარი: არა, ის ქალი ისევ აშტერდება.

მენეჯერი: რომელი ქალი?

მთავარი: უკვე მიდის, აი, იქ რომ იდგა.

მენეჯერი: კი, მაგრამ, ასე უცბად სად გაქრებოდაო - გაუკვირდა და ხვეწნა დაუნყო - ოღონდ ახლა ისტერიაში არ ჩავარდე. გთხოვ, თავი ხელში აიყვანეო. მაგრამ ქალი მაინც გაცოფდა და სკანდალის მონყობა დააპირა. არადა, მას მხოლოდ იმის თქმა სურდა, მოიცადე, იქნებ კიდევ იყოო საჭირო. ამაზე ის საერთოდ შეიშალა. აღარაფერი ესმოდა. ეს კი თხოვდა, მოდი, იქნებ ცოტა დაგესვენა და სხვა რამეზე გადაერთვებოდიო, მაგრამ ვინლა უსმენდა.

(სენიორი და ონლაინი შემოდინ)

მენეჯერი: ისევ თავის პორნოსასტუმროს ამბავს ჰყვება, არა?

მთავარი: არა, არც უფიქრია.

მენეჯერი: ნამდვილად ისევ თავის პორნოსასტუმროს ისტორიას გვიაშობს! ეს ისტორია უკვე ყელში აქვს ამოსული.

მთავარი: ფრთხილად, ყველაფერზე მძაფრი რეაქციას ნუ მისცემო!

(ონლაინი ერევა საუბარში)

ონლაინი: ისედაც უკვე ყველაფერზე მძაფრ რეაქციას აძლევს.

(მენეჯერი თავისკენ უხმობს სენიორს)

მენეჯერი: *(ონლაინის შესახებ)* მისი დუსელდორფელობაც უკვე ყელში ამოუვიდა. აქაურობა უკვე მთლიანად მისი დუსელდორფელობით არის მოცული. ახლაც იცის, რომ ის ისევ თავის დუსელდორფულ სიმღერას დაიწყებს: "ოჰ, ყველას როგორ ვუყვარვარ!" და აუდიტორია ტაშით შეეგებება. ეს სიმღერა, უკვე, ყველამ ზეპირად იცის. ისე აქვს ყელში ამოსული ეს მისი დუსელდორფელობა, რომელსაც უკვე თავს ველარავის აღწევს, რომ მათი დანახვა აღარ შეუძლია.

მთავარი: არა, ჯობია ასე მწვავედ ნუ რეაგირებს, რომ ზედმეტი ემოციებისაგან არ გადაიღალღოს. აქ არავის სჭირდება არც მისი ზედმეტი ემოცია და არც ის აღერგია, რომელსაც ის დუსელდორფელობის მიმართ განიცდის. სხვათა შორის, გარკვეულ რამეებზე მასაც გაუჩნდა აღერგია, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა.

მენეჯერი: მან ეს არ გაამბოთ?

მთავარი: რა?

მენეჯერი: ხომ ამბობდა, ისევ თავის პორნოსასტუმროს ისტორიაზე ინწყებს ლაპარაკსო?

მთავარი: არა.

მენეჯერი: (სენიორს) კი, ნამდვილად ისევ თავის პორნოსასტუმროს ამბავს მოჰყვება.

მთავარი: არა!

მენეჯერი: მოკლედ ეს ისტორია, რომელიც უკვე ზეპირად იცის, მდგომარეობს იმაში, რომ ერთხელ მას შტუტგარტის აეროპორტის სასტუმროში მოუწია ღამის გათენება. მისი ჩემოდანი შემთხვევით პარიზში თუ რომში მოხვდა და თავის ჩემოდანს უნდა დალოდებოდა. ამგვარად, მან თავი ამოჰყო უძვირესი სასტუმროს ნომერში, სადაც ყოველი მხრიდან რაღაც უცნაური პორნოგრაფიული ხმები გამოდიოდა. აღშფოთებული იყო, როგორაა ეს აეროპორტის სასტუმროს ნომრები მონყობილი ტელევიზორებითა და სხელი კედლებით, რომ ყველაფერი ისმისო. ოხვრა-კვნესა, რომელსაც ჩვეულებრივ ორი ადამიანი გამოსცემს, თითქოს იქ რამდენიმე ოთახიდან ერთდროულად მოდიოდა და მას გარკვეული დრო დასჭირდა, ვიდრე მიხვდებოდა, რომ მის გვერდითა ოთახებში პორნოფილმებს უყურებდა ყველა. არადა, იქ სულ ბიზნესმენები იყვნენ გაჩერებულნი, რომლებიც ყველა ჰყავდა ფოიეში ნანახი. პორნოგრაფიის ყურებისას, მათ თავიც კი არ შეუკავებიათ, მაგრამ, ცხადია, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მეზობელ ოთახებში ყველაფერი ასე კარგად ისმოდა.

მთავარი: (ავრძელებს) ხო, და მეორე დილას ეს ხმაურიანი ბიზნესმენები უწყინარი სახეებით და დიპლომატებით სასადილოს დარბაზში ისხდნენ. ამ დიპლომატებში ისინი ინახავდნენ საბუთებს, სახელშეკრულებო დოკუმენტებს, ჩანაწერებსა და ა. შ.

სენიორი: *(აგრძელებს)* მართალია, ასეთი "მთავარი მონადირეები" ძირითადად ასეთ ადგილებში იყრიან თავს - აეროპორტებში, სადგურებზე. იქ მათ ყოველთვის შეხვდებით.

მთავარი: *(აგრძელებს)* მართალია, ასეთ დროს ზიხარ და ისმენ ამ "მონადირეების" საქმიან საუბრებს, კონტრაქტებისა და სამომავლო კონტრაქტების შესახებ. როგორ საუბრობენ ისინი მათთვის ჩვეული ბიზნესმენური მანერით, როგორ გამოსცემენ ისინი რბილსა და ნაკრიალს ბგერებს, რაც აშკარა წინააღმდეგობაშია იმ პორნოგრაფიულ ხმებთან, რომლებიც წინა ღამეს მათი ოთახებიდან გამოდიოდა.

სენიორი: და მერე?

მთავარი: არც არაფერი.

მენეჯერი: ყველა ეს მამაკაცი, მზესუმზირის ყვავილებივით, დარბაზში მყოფი ერთადერთი ქალისაკენ შემოტრიალდნენ.

მთავარი: ეს ქალი კი თავად ის გახლდათ.

მენეჯერი: *(ციტირებას ახდენს)* მხოლოდ, ბრეთ-ისტონ ელისის გრძნობა არ დაგეუფლოთ!

სენიორი: ბრეთ-ისტონ ელისი მასაც აქვს ნაკითხული და ცოტა გადამლაშებული ეჩვენა.

მთავარი: ხო, მხოლოდ, ბრეთ-ისტონ ელისის გრძნობა არ დაგეუფლოთ!

სენიორი: ახლა რა, ბავშვთა პორნოგრაფიაზე ხომ არ ვილაპარაკებთ? რა მოხდა, ეს თემა ახლა ძალზე პოპულარულია. მოკლედ, მას ახლა ბავშვთა პორნოგრაფიაზე საუბარი ნამდვილად არ სურს, თუმცა

ისეთი შეგრძნება აქვს, რომ ვალდებულია, ან თემას შეეხოს, რადგან იცის, რომ გარკვეული დროის შემდეგ ყველა ბავშვთა პორნოგრაფიაზე ალაპარაკდება.

მთავარი: ბოლოსდაბოლოს, ეს რელიჯიური ფაქტებითაა განპირობებული. ბოლოსდაბოლოს, მედიის ყველა საშუალება მხოლოდ ამას გადმოგვცემს: "მარტო იმიტომ, რომ ცეო პატარა გოგონაზეა გამოსახული, გამოშვების ადგილი ტაილანდი"; "მარტო იმიტომ, რომ ცეო პატარა გოგონაზეა გამოსახული, ყველა ქალს შეხვედრაზე მიაქანებენ"; ქალებს? "მარტო იმიტომ, რომ ცეო პატარა გოგონაზეა გამოსახული, ახლა ის ყველა საექსკურსიო ჯგუფისთვის სტანდარტადაა მიჩნეული."

მენეჯერი: კარგი, გთხოვ რა!

მთავარი: რას მოხოვ? მთელ ორგანიზაციაში ჩვეულებად იქცა გოგონების გარყვნა. ბოლოსდაბოლოს, ბავშვთა პორნოგრაფიაზე ინფორმაცია უკვე ინტერნეტშიც კი მოიპოვება.

მენეჯერი: ხო, ეს კი მართლა დიდი სკანდალი იყო.

სენიორი: რა მოხდა?

მენეჯერი: გამომჟღავნდა თუ არა, მოსპეს.

მთავარი: (უცბად წინ მიდის) არა, ყველას ერთად ვერ აიძულებდნენ, ამას არ იზამდა, თუმცა უნდა აღიაროს, რომ გარედან სწორედ ასე ჩანს. (იცინის) გეგონებათ, რაღაც ხანი უკვე ერთად აქვთ გატარებული, ასეც არის, თუმცა არ უიციოთ რამდენი. ფიქრობს, ერთმანეთს მომავალშიც ვერ დაშორდებიან. როგორც ჩანს, (იცინის) ამ პირობებში ეს არ გამოვა... მაგრამ, ბატონ გერინგერთან მარტო დარჩენა არ უნდა, ეს მისთვის მეტისმეტად დაშქანცველი იქნებოდა (ჩაახველა).

II სცენა:

ენი დგანან და ლაპარაკობენ.

სენიორი: (მცოდნის სახით) ფიქრობს, რომ ეს დექსედრინის ბრალი უნდა იყოს და აქ არავითარ ჯადოქრობასთან არა გვაქვს საქმე. დექსედრინით ამგვარი ეფექტი ადვილად მიიღწევა. თუმცა, ზემოქმედების მიხედვით შეიძლება ეფედრინიც ყოფილიყო. ადრე ამას კაპტაგონი ერქვა. სამარკო ნიშანი, ალბათ, დღესაც იგივეა. კიდევ ერთი გამოსაფხიზლებელი საშუალებაა ამფეტამინი, მაგრამ ის ასეთ რალაცეებს არ ღებულობს, რადგან ამათ გარეშეც კარგად ართმევს თავს.

მენეჯერი: მოკლედ, სხვა დანარჩენი თანამშრომლები სახეზე წყალს ისხამენ, "რედ ბულ"-ს სვამენ, ყავაც აფხიზლებთ ცოტა ხნით, მაგრამ მას არ სჭირდება ეს ყველაფერი. პირიქით, შეუძლია გარკვეული დოზით ნებისმიერი სასმელი დალიოს და ისიც ისე სვამს, აღარც კი აქცევს ყურადღებას.

ონლაინი: გარკვეულწილად ხომ ალკოჰოლიც გაფხიზლებს.

პარტნიორი: ნეტა, რამდენი ხანია, რაც უკვე ფეხზეა? თვითონაც ვერ გეტყვით. საათებს ის არ ითვლის და დღეების დათვლა აქ შეუძლებელია.

მთავარი: მაგრამ გადაქანცული საერთოდ არ ჩანს.

სენიორი: იმეორებს, ადრენალინის დიდი მოყვარული ის არ უნდა იყოსო.

პარტნიორი: მოკლედ, მოდით, თვითონ გადანყვიტოს, როდის დაისვენებს და როდის არა, როდის წავა და როდის რას იზამს. დაიღლება და დაამთავრებს, არ მეთანხმებით?

სენიორი: ვერ ხვდება, ეს კითხვა რას უნდა ნიშნავდეს? უნახავს თუ არა ვინმე კოლაფსში ჩავარდნილი? მართლა უნახავს თუ არა ვინმე კოლაფსში? ამაზე ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ, ყოველ შემთხვევაში ახლა (იციინის).

პარტნიორი: არა, აქ კოლაფსში ჩავარდნილი მართლა არავინ უნახავს და ეს ხშირად უთქვამს კიდეც. უფრო სწორად, ცხადია, ყური მოუკრავს, რომ აქ ორი თანამშრომელი კოლაფსში ჩავარდნილა, ერთს ნნევა გავარდნია, მეორეს კი ნერვული შეტევა ჰქონია, მაგრამ, როგორც იცის, ეს ადამიანები მართლა შეუწყრებლად მუშაობდნენ.

სენიორი: მაგალითად, ზოგჯერ ვიღაცაზე იწყებენ ხოლმე მტკიცებას, რომ აღარ მოვარო. როდესმე მასზეც იტყვიან, სამსახურში აღარ გამოცხადდა, საქმეს გამოეთიშაო. მაშინ მართლა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ადამიანს კოლაფსი დაემართა. აბა, ასეა რამეს ტყუილად ხომ არ იტყვიან. ამას აუცილებლად თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს.

პარტნიორი: მაგრამ, არც ამდენი თანამშრომელია გამჭრალი, რომ ასეთი რამ დაუშვან. ამის დამამტკიცებელი საბუთი არა აქვთ და ვერც ექნებათ. მათი რიცხვი მაინც მცირედით შემოიფარგლება. რა, ამდენი ადამიანი ქრება?

(მოკლე პაუზა)

ვინ ამტკიცებდა ამას?

იკითხა, ამას ვინ ამტკიცებდაო?

მოკლედ, ახლა ამაზე არ ვვინდა ლაპარაკი.

მორჩა უკვე საუბარი?

ის ფიქრობს, რომ საუბარი უკვე მორჩა.

ხო, ფიქრობს, რომ შეუძლია საუბარი დასრულებულად გამოაცხადოს.

მთავარი: *(შეშინებული):* სწორედ ამ წუთას ხმა წაუვიდა. ბოდის იხდის. ალბათ, მალე ისევე მოუვა. ეტყობა, დაბნეულობის ბრალია. ეს უკვე მერამდენევერ ემართება. აქ ისევ რალაც ამბავია, მაგრამ არ იცის სწორი ახსნა მისცა თუ არა ამ სიტუაციას. მორბენალების სურათი ვერ დააღაგა სწორედ.

ბატონი ბელტინგიც მირბოდა. დაინახა, როგორ მირბოდა ბატონი ბიორნი გახსნილი პალტოთი და დიპლომატიით ხელში. ასევე, ბატონი რიდერი. დიან, მინისტრი რიდერიც კი გარბოდა. შემოსასვლელის ფანჯრიდან დაინახა, როგორ გარბოდნენ ყველანი. სასაცილო სანახაობა იყო. ბაზრობის კედლებთან, გასასვლელის გასწვრივ გარბოდნენ ისინი გახსნილი პალტოებითა და კოსტიუმებით. ზოგი წესიერად არც კი იყო ჩაცმული. ეჯახებოდნენ და პრაქტიკულად გზიდან იცილებდნენ ერთმანეთს. ზოგი პანიკაში იყო ჩავარდნილი და საშინელი გამომეტყველება ჰქონდათ. ზოგი კი, უფრო წყნარად მირბოდა. ისე, როგორც დილაობით სავარჯიშოდ დარბიან ხოლმე. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ ყველანი ბრძანდებოდნენ იქ და, მათ შორის, პრაქტიკანტიც.

მენეჯერი: და ახლა სადაა პრაქტიკანტი?

მთავარი: ახლა, ურჩვენია, აღარაფერი თქვას *(ახველებს)*. ხო, ახლა ნამდვილად ჯობია გაჩუმდეს. აღარაფრის *(ახველებს)* თქმა აღარ სურს.

პარტნიორი: თავის არიდების ეს მეთოდი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. მერე რა მოხდა. ზოგჯერ თავის არიდებაც საჭიროა. ცუდს ის ამაში ვერაფერს ხედავს. ოღონდ, ახლა არ ინერვიულოს. ასეთი რამ ნებისმიერს შეიძლება დაემართნოდა *(ახველებს)*.

ონლაინი: *(დამშვიდებული)* საკუთარ ხმასაც ვეღარ ცხობდა, აღარც კი ესმოდა, რას ამბობდა. ეტყობა, ზოგჯერ ცოტა იძაბება ხოლმე. “ხო, ზოგჯერ ასეც ხდება”. სხვები საკმაოდ შეშინებულები ჩანდნენ და თვითონ მასაც საკმაოდ შეეშინდა. ადრეც იცოდა, რომ შეეძლო წყობიდან გამოსულიყო. არც ხმის აწევა და წივილ-კივილია მისთვის უჩვეულო. მაგრამ, ვერ წარმოედგინა, თუ ასე ხმამაღლა შეეძლო ყვირილი. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მასში ვიღაც უცხო ჩასახლდა და იმან იყვირა.

მთავარი: ვერ იფიქრებდა, რომ ასეთი საშიში შეეძლო ყოფილიყო. წინასწარ ვერ განსაზღვრა, რომ თავისი საქციელით ასეთ შიშს გამოიწვევდა. უბრალოდ ვარ წარმოედგინა.

მენეჯერი: თუ შეიძლება, ორივეს გადაეცით, რომ ისტერიაში არ ჩავარდნენ. აი, სწორს ამბობს.

პარტნიორი: თუ შეიძლება, შეწყვიტოს წივილ-კივილი ყველამ. არავის ხმა აღარ ისმოდეს!

(მენეჯერი, პანიკით მოცული, ცდილობს გაქცევას, მაგრამ არაფერი გამოსდის. მასაც დარბაზში ტოვებენ)

ონლაინი: *(უყურებს მენეჯერს)* “რა ხმაურიანი ხარ!” მოსწონს, რომ ეუბნებიან, “რა ხმაურიანი ხარო!” ამას ჯერ კიდევ ბავშვობაში ეუბნებოდნენ. გარკვეულ რაღაცეებს დიდ ყურადღებას აქცევდა. ახლა, ის მის შესახებ საერთოდ არაფერს ათქმევინებს.

(აქ წვევებს და შემდეგ ახლიდან აგრძელებს)

განა, ყველამ არ იცის, რომ ის ისეთი ფხიზელი აღარაა? უფრო მეტიც, აღიარებს, რომ საკმაოდ მთვრალია. მაგრამ, ხომ არ შეიძლება, გამუდმებით სიტყვას აწყვეტინებდნენ და განუწყვეტლივ რაღაცას

უჩიჩინებდნენ. იცის, რომ მის პატიოსნებაშიც კი შეეპარათ ეჭვი. ესეც არაერთხელ უთქვამთ. არადა, ის ახლა ნამდვილად აღარაფერს აშავებს, რასაც ადრე ნამდვილად ვერ იტყოდა. თითქოს, პატიოსნებამ მთელი თავისი სიძლიერით იჩინა მასში თავი და ამიერიდან ეს სულ ასე იქნება.

(სენიორს)

არა, ჩუმად ყოფნას ის ნამდვილად არ აპირებს. ის ახლა ხმამაღლა და გარკვევით ამბობს თავის სათქმელს და ყველანაირად უნდა დაუგდოს. არა, ასეთი სახით არ უნდა უყურონ. ახლა ყველა აქაა. აბა რას ფიქრობდნენ, რომ ეს სამუდამოდ დაუსჯელი დარჩებოდა? რომ ისინი აქ ქიქოფის შეხვედრებზე ილაპარაკებდნენ, შეუფერხებლად გააგრძელებდნენ მომხმარებელში ადამიანური გრძნობების აღმოჩენას და საკუთარ თავს "მულტი-თასქინგის" მსგავსს სიტყვებში გამოიჭერდნენ? და ამის შემდეგ ყველაფერი ისევ ისე იქნებოდა?

დიახ, თვითონაც იცის, რომ მთვრალია, აბა რა ეგონათ? ასე კარგად ყველაფერი რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო? სადამდე ილაპარაკებდნენ ასე შეუფერხებლად სამსახურის ნევრთა შრომისუნარიანობაზე? ისედაც ბევრი გაუვიდათ, რომ განუწყვეტლივ სამსახურია ნევრთა შრომისუნარიანობასა და საინფორმაციო წრეზე ლაპარაკობენ. და მარტო ეს არაა. მათ ხალხს ჩაუნერგეს, რომ შეიძლება ადამიანურ ხმებს მიჰბადო და ეს დაუსჯელი დარჩება, თითქოს და - არაფერიო.

(ონლაინი გადის. დანარჩენები გაოგნებულები რჩებიან, მაგრამ შემდეგ პარტნიორი ცდილობს სხვა თემაზე გადაიტანოს საუბარი და წინ მოიწევს. თუმცა აქ უკვე აღარავინაა, ისე რომ თითქოს, მის სიტყვას, რეალური ადრესატი აღარც ჰყავს.)

V სურათი: **პანიკა და აჩრდილები**

ისცენა:
აჩრდილები. მთავარი, სენიორი, პარტნიორი.

- პარტნიორი:** გთხოვთ, სწორად გაიგოთ. სინამდვილეში, ხალხი აქედან სულაც არ გარბოდა. გარკვეული დროიდან მოყოლებული, მის გარშემო რატომღაც დიდი ამბავია შექმნილი და მისი ძალიან ეშინიათ.
- მთავარი:** აქამდეც ბევრჯერ უთქვამს, რომ გარეგნულ მხარეს ისეთ დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. აღარც ის ანაღვლებს, რომ ასე უსიცოცხლოდ გამოიყურება. მაგრამ შიშობს, სულ უფრო მეტად აჩრდილს არ დაემსგავსოს. ცხადია, არც არავის ესიაშოვნებოდა იმის ცოდნა, რომ “რაც დრო გადის, ის სულ უფრო მეტად აჩრდილს ემსგავსება”.
- სენიორი:** მოიცადეთ, სანამ მას აჩრდილად გამოაცხადებდეთ, ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ, ის ამას არ გაპატივბთ. ხომ იცით, სპორტის რომელიღაც სახეობას მისდევს და ნამდვილად შესძლებს იმის დამტკიცებას, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია და თანაც ჯან-ღონით სავსე. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეც იქნება.
- მთავარი:** *(აწყვეტივნებს):* მასაც შესწევს უნარი, რომ სხვები გამოაცოცხლოს. თანაც მას არაერთხელ ჰქონია შემთხვევა, როცა ის სიცოცხლით აღსავსე ჰგონებიათ, რაც იმ მომენტში სიმართლეს არ შეუფერებოდა. გულისხმობს იმ განსაკუთრებულ სიცოცხლისუნარიანობას, რომელსაც კაცები ვიღაცას მიაწერენ ხოლმე, როდესაც მასთან დანოლა უნდათ. დიახ, მას ხშირად ჰქონია იმია შეგრძნება, რომ მის სიცოცხლისუნარიანობას ბოროტად იყენებენ. თითქოს ის სხეულის მატონიზირებელი კრემი იყოს, რომლითაც

სხვები, უბრალოდ სარგებლობენ. იყო დრო, როცა ის ოცნებობდა კიდევ. ოდესღაც მას თავად სურდა, სიცოცხლით სავსე არსებად ყოფილიყო მიჩნეული. ადრე, სიცოცხლის ხალისს სხვებსაც სიამოვნებით გაუნანილებდა. თანაც ამ დროს, შეიძლება ითქვას, ის ზედმეტად სიცოცხლით აღსავსეც კი იყო, მაგრამ სწორედ ამ მისმა ძლიერმა სიცოცხლისუნა-რიანობამ მის ჰირად ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედა. ხშირად ხდება, რომ მამაკაცი საერთოდ უსიცოცხლოა, ქალი კი ზედმეტად ცოცხალი. ასეთ კავშირებს კარგი არაფერი მოაქვს, რადგან მამაკაცს ოდესმე ქალის ზედმეტი სიცოცხლისუნარიანობა ბეზრდება. მიოუმეტეს, თუ იგი ამასთან ერთად თავის უსუსურობასაც გააცნობიერებს და ყველაფერი მთავრება ამით.

(პარტნიორს)

მის შემთხვევაშიც ასე ხდება. მას, მაგალითად, სულაც არ სურს კაცის უსიცოცხლობას შეეჩიროს. ამ მისიას სიამოვნებით მის ცოლსა და თანამშრომლებს დაუთმობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის, ალბათ, თავის უსუსურობას ვერ ხვდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამაზე მას საერთოდაც არ უფიქრია. ალბათ თვლის, ეს პირადული პრობლემებია, რომლებიც როდესმე ნებისმიერ ადამიანს უჩნდება და ამას რაღაც ლამაზ სახელსაც კი უწოდებენო. შეიძლება, ის მართლაც არ იყოს აზრზე და ალბათ, იმის შეგრძნებაც კი არა აქვს, რომ ის მოკვდავია. შეიძლება, ამის შეგრძნება არც არასდროს ჰქონია. ან იქნებ დაკარგა, სადმე დარჩა, შეხვედრაზე, სხდომაზე, ან კიდევ რომელიმე ადგილას და მას შემდეგი ის აღარც კი გახსენებია. მაგრამ, ალბათ, სწორედ ამის ბრალია, რომ ამდენს მუშაობსო.

სენიორი: ცხადია, ადამიანი თვითონ ვერ აღიქვამს აჩრდილად თავს.

ასეთ სახელს მას მხოლოდ გარშემომყოფები არქმევენ. რა თქმა უნდა, საკუთარი თავი მას ვერც მონსტრად

წარმოუდგენია (იციანის). ამისათვის (იციანის) ის ზედმეტად კარგადაც კი გამოიყურება, არა? (იციანის) არა თვითონ მას, საკუთარ თავში, აწრდილის დანახვა ნამდვილად არ შეუძლია (იციანის), ყოველ შემთხვევაში ნებაყოფლობით არა -

მთავარი: რა არის ამაში სასაცილო?

სენიორი: მერე ვინ დასცინის?

პარტნიორი: ნამდვილად არავინ დასცინის.

პარტნიორი: ერთადერთი, რაც კიდევ შეიძლება მოსალოდნელი იყოს, არის სასიკვდილო დარტყმა, რომელიც თითქოს უკვე ახლოსაა და კიდევ უფრო ამბიციურია, ვიდრე თვითონ ეს პიროვნება გახლავთ. მას რომ ამ დაბრკოლების გადალახვა შეეძლოს... სხვის დახმარებას მაინც უნდა იღებდეს თუ თავად უნარი არ შესწევს.

მთავარი: ხო, ნეტავ!

სენიორი: ხო, ნეტავ!

მთავარი: მაგრამ, ასე ნამდვილად არაა. ამბობენ, თითქოს სიცოცხლის კვალი სარეველა ბალახივით მალლა იზრდება. მას კი ამის, არაფერი ეტყობა.

პარტნიორი: ხო, ახლა წესით გამოცოცხლებას უნდა ველოდოთ. ეს ყველაზე მცირეა, რაც კი შეიძლება მოხდეს.

სენიორი: და ისიც უნდა გაყისავალისწინოთ, რომ მარტო ძალაუფლება ძალაუფლების ძახილი წარმატებას ნამდვილად ვერ მოგვიტანს.

(ყველა შესცქერის და ელოდება, რას იტყვის)

ერთხელ მან ხომ უკვე დაისვენა კიდევ. იფიქრა,

დავისვენებ, რატომაც არა, ბავშვს მივხედავ, იქნებ ნიგინც დავნერო ანდა კიდევ სხვა გასართობს მოვნახავო. ამის ნაცვლად რა გააკეთა? არც არაფერი. უფრო მეტიც, უამრავი თავსატეხი გაიჩინა. ლოგიკურია არა? ადამიანი, რომელიც დღეში 14 საათიან მუშაობასაა მიჩვეული, შეუძლებელია ასე უცბად შეიცვალოს. მან, უბრალოდ, იგივე სტილში უნდა გააგრძელოს ცხოვრება

(უყურებს სხვებს)

და რა ქნა? მოკლედ პირველი რაც გააკეთა, იყო ის, რომ ქალების მახეში გაეხა. ღმერთო, რა საშინელება იყო!

(უყურებს სხვებს. ისევ არანაირი რეაქცია)

ხო, გარკვეული დროის განმავლობაში სამი საყვარელი ჰყავდა. პრინციპში, თავიდან მხოლოდ ორი, მაგრამ შემდეგ მესამეც გამოჩნდა, რომელმაც ფაქტობრივად ყველაფერი აურია. თავიდან ასეთ ურთიერთობებზე თანხმდებოდა, რადგანაც იცოდა, რომ მასაც გარკვეული სტიმული და დასვენება სჭირდებოდა. მაგრამ ქალებს, სინამდვილეში, სხვა რამე უნდოდათ, რასაც ის მალევე მიხვდა. სიმართლე რომ ითქვას, თავიდან მას უნდოდა თავისი ყოველდღიური ცხოვრებისათვის მრავალფეროვნება შეემატებინა და ამისათვის ეს გზა არჩია. "თუმცა, როგორც მიხვდა, ძალზე რთულია, გყავდეს ორი-სამი ქალი და თითოეულს უმტკიცო, რომ ის ერთადერთია". ამას ნამდვილად ურჩევნია თექვსმეტი საათი იმუშაოს. მოკლედ, ასე უცბად ვერ შეიცვლებოდა.

(დახარჩენი ორი დგება)

მთავარი: თითებზე ფრჩხილები აღარ შერჩათ. კედელს მიშტერებოდნენ და თმები ყალყზე ჰქონდათ დამდგარი. "რა შემძლია კიდევ თქვენთვის გავაკეთო? გამუდმებით რეკავს ტელეფონი. განუწყვეტილად შეხვედრებს ათანხმებდა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა.

სატელეფონო სიები ბოლომდე ჩაიკითხა. პრინციპში, სხვას ისეთს არაფერს აკეთებდა, რასაც ახლა არ აკეთებს. იმ მცირედი განსხვავებით, რომ მაშინ საკმაოდ გადაქანცული იყო და საბოლოოდ იმ შემოთავაზებაზე დათანხმდა, რომელზეც თავიდან უარის თქმას აპირებდა. ბოლოს აქაც შემოვიდა და ამ ამბავში მიიღო მონაწილეობა.

პარტნიორი: მართალია, აღარც კი ახსოვს, შიშის შეტევები როგორ დაენყო და პირველი სტრესი როდის განიცადა, მაგრამ მოულოდნელად შემოუტია ამ პანიკურმა შიშმა, რომელიც მისთვის მანამდე უცნობი იყო. ასეთი საზარელი, სიტყვით აღუწერელი განცდა, მას თავის ცხოვრებაში არ ჰქონია. მოკლედ რომ ვთქვათ, სწორედ ამ დასვენებამ მოუღო მას ბოლო.

II სცენა:

მეხსიარება და მოგონება. ისევ სანიორი, მთავარი და პარტნიორი

სანიორი: ამბობენ, თავიდანვე რაღაც მძარცველების ხმები ისმოდაო. თავიდანვე რაღაც უცნაური მითქმა-მოთქმა იყო, რაზეც ყველას ერთიდაიგივე აზრი გაუჩნდა. მაგრამ დაცვაც ხომ სულ აქ იდგა და თითქოს მართლაც არაფერი ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი განსაკუთრებული.

მთავარი: ხო, რაღაც ამდაგვარი მასაც აგონდებდა. თითქოს თავიდანვე რაღაც მძარცველების ხმები იყო. თავიდანვე ეს სიგნალიზაცია... ახლა მოაგონდა, რომ შესასვლელთანაც ვიღაც ტიპები იდგნენ.

პარტნიორი: მართალია, მაგრამ ეს თვალში არავის მოხვედრია. სერიოზულად ეს არავის აღუქვამს.

მთავარი: მართლაც, მძარცველების ხმები თითქოს ყველას მოესმა. მაგრამ, იქვე ვილაცას უთხრეს, ყველაფერი რიგზეა, რატომ ღელავთ, ყველაფერს ვაკონტროლებთო. ყველაფერი მწვანე განყოფილებაში იყო. განსაკუთრებული კი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ისეთი, რასაც ის განსაკუთრებულად მიიჩნევდა, არა.

(*პაუზა*)

მთავარი: მოკლედ, თავიდანვე მძარცველების ხმები მოგვესმა. ეს ანლა დავიმახსოვროთ, თორემ ყველაფერი, რაც ხდება ძალიან სწრაფად გვაგინყდება!

სენიორი: უკანა ნაწილში სულ იმას ლაპარაკობდნენ, კარგი დრო ვატარეთო.

პარტნიორი: კი, უკანა ნაწილში ყველაფერი განსხვავებულად მიმდინარეობს ხოლმე. მათ მიერ ნაამბობ ისტორიებში, ისეთი ეპიზოდები ჭარბობს, რომლებიც მათ წარმატებაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე მათ წარუმატებლობაზე.

სენიორი: მართალია, ფირმების ისტორიებში საუბარი ძირითადად წარმატებებზეა. მაგრამ თუ ყურადღებით დაუყვირდებით, აშკარაა ისიც, რაც თითქოს თავიდან შეუქმნეველი რჩება. ფირმების ისტორიებში არანაირი პრობლემა არაა. "თითქოს არანაირი საზრუნავი არ იყოს". მაგრამ, ის ამაზე, უკვე მუშაობს. ბოლო კვირებში მისი მიმართვის ტონი გამკაცრდა. საბოლოოდ, ბოლო საათების განმავლობაში ისეთი არავინ უნახავს, ვისაც მის დაქვემდებარებულ პირთან რაიმე კონტაქტი ექნებოდა. ნელ-ნელა იმ დასაკუნამდე მიდის, რომ ის უკვე დიდი ხანია ყველამ დაივიწყა.

მთავარი: როგორ თუ დაივიწყა?

პარტნიორი: არა, ეს არავის უთქვამს. მაგრამ ასეც რომ ცოფილიყო,

სრულიად ნორმალური იქნებოდა. იმას გულისხმობს, რომ ეს დროდადრო ხორმალურია, მაგრამ თუ ეს მუდმივ ხასიათს მიიღებს, მაშინ აუცილებლად რალაც ზომები უნდა იქნეს მიღებული.

სენიორი: ეჰ, ღღეს ისე სწრაფად ივინყებენ ყველას, რომ კაცი უკან მოხედვასაც ვერ მოახსრებს.

პარტნიორი: არა, მეხსიერების დაძაბვას აქ არაფისგან მოვითხოვთ, მაგრამ, ცხადია, მისთვის სასიამოვნო არ იყო ის განცხადებები, რომელიც აქ მის მიმართ გაკეთდა. ყველაფერი კარგად არც მას ახსოვს, რადგანაც იცის, რომ ასეთი რამეები ძირითადად სიძარტლეს არ შეესაბამება. ხალხს ჭორი უკეთ ამახსოვრდება, ვიდრე ფაქტი, რადგანაც ყველას ჭორი უფრო უყვარს. ჭორი ხომ ამბავს ყოველთვის უფრო საინტერესოს ხდის.

“იმას ვგულისხმობ, რომ მას არაფინ მოუკლავს”. ყოველ შემთხვევაში, როგორც თავად ახსოვს, არაფინ მოუკლავს. *(ივინის)* თუმცა მეხსიერებით ნამდვილად ვერ დაიკვებნის. მისი გონება უფრო სხვა რამითაა გართული. მოიცადეთ, ფიქრობს, ხო აი, ახლა გაახსენდა.

პარტნიორი: ის, ძირითადად, უკანასკნელი მაკონტროლებელი საბჭოს სხდომას იხსენებს. უკვირს, მთელ შენობაში როგორი სიჩუმე იყო. ეს მისი უკანასკნელი მაკონტროლებელი საბჭოს სხდომა გახლდათ, მაგრამ, ერთადერთი, მისი სახე დაამახსოვრდა. იგი ერთი სართულით ზემოთ იჯდა და იქ სრული სიჩუმე სუფევდა. ასეთი სიჩუმე ეუცხოვა კიდეც. ბატონო გერინგერ! – ვილაცამ დაუძახა. თითქოს, ეს უკვე ძალიან დიდი ხნის წინ იყო. ახლა ის ოთახი ისეთი სიჩუმით იყო მოცული, როგორც ეს ჩვეულებრივ ოფისებისთვისაა დაშაბასიათებელი. უცბად, გვერდითი ოთახიდან რალაც შრიალი მოისმა. ვილაცამ დაახველა. შეიძლება ეს მდივანი ქალი იყო, მაგრამ არა, რადგანაც იმ წამსვე ტელეფონის ავტომოპასუხე ჩაირთო და

სანამ ავტომობასუხე თავის სათქმელს დაამთავრებდა, ფანჯარასთან ბუზმაც დაიწყო ბზუილი. ხო, ახსოვს, რომ ბუზი განუწყვეტლივ დაფრინავდა, ხან იქით ნავიდოდა, ხან აქეთ, თითქოს ლაბირინთში ყოფილიყო გაბმული და გასასვლელს ვეღარ პოულობდა. ამ დროს, რალაც სუნი ეცა. ხო, ახსოვს, როგორ იგრძნო რომ ოთახში ხელოვნური ხალიჩებისა და ხელსაწყოების სუნი ტრიალებდა, როგორც ახლადგარემონტებულ ოფისებშია ხოლმე. სტამბის, ტექნიკის, საწყოებისა და საოფისე ავეჯის სუნი, მაგრამ, ახლა, ის კიდევ უფრო მკვეთრი იყო. თავად ეს საოფისე ავეჯის მისთვის მანამდე უცნობ, უცნაურ ხმას გამოსცემდა.

მთავარი: მართალია, ახლა გაახსენდა, რომ ამ შენობაში ისიც ნამყოფია. მასაც რალაც საქმე ჰქონდა, სხდომას დასწრის თუ არა, არ იცის, მაგრამ სახლი ნამდვილად ახსოვს. ყველაზე უკეთ კი, ლიფტი დაამახსოვრდა. დიახ, იქ ლიფტიც იყო და სწორედ ეს ახსოვს, ოუ როგორ იჯდა ამ ლიფტში. "კიდევ ლიფტში ხართო" - ხუმრობდნენ, როცა დილაობით შემთხვევით ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. თითქოს, მათი ფიზიკური გადაადგილების სურვილი მარტო ლიფტით ასვლა-ჩასვლაში გამოიხატებოდა. "კიდევ ლიფტში ხართ, მაგრამ ლიფტი რომ ადგილიდან არ იძვრისო?" - უთხრეს ერთხელ და, მართლაც, ლიფტი არც ზევით ადიოდა და საერთოდაც არ არ მუშაობდა.

პარტნიორი: ქვევით იცინიან. ხო, კარგად ესმის. სავაჭრო ხელმძღვანელობის ასისტენტები კარგად ერთობიან. ხუმრობას ხუმრობაზე აყოლებენ. "უკვე აქამდეც მივიდნენო!" - თავისთვის გაიფიქრა. რადგანაც, თუ სავაჭრო ხელმძღვანელის ასისტენტები უკვე ხუმრობით იქცევენ თავს, მაშინ მათმა სავაჭრო ხელმძღვანელმა დიდი ხანია ისინი უკან ჩამოიტოვა.

უკვირს, რომ ის მათთან ერთად ქვევით არ იყო. იქნებ კიდევ ჰქონდა რამე საქმე, ან ტელეფონზე უნდა დაერეკა

ან რაჲმე ამის მაგვარიო.

ახლა იხსენებს ამ მაკონტროლებელი საბჭოს სხდომას და ისე თვალნათლივ უდგას წინ, თითქოს ის ახლახან ყოფილიყოს. დაახლოებით ისე, ვილაცა ცხვირწინ საღეჭს რეზინას რომ ცოხნის და მერე ამ სურათს თვალებიდან ველარ იშორებ. მთელი დროის განმავლობაში, სანამ სხდომა მიმდინარეობდა, ვილაც ლვინოს ასხამდა და იქვე ფუნთუშები ელაგა, რომლებიც მოგვიანებით სტუმრებს უნდა მიერთვათ.

მთავარი: აღარ ახსოვს, თვითონაც იყო თუ არა ვაჭრობის ხელმძღვანელის ასისტენტთა შორის. პრინციპში შესაძლებელია, მაგრამ მას მხოლოდ ლიფტი ახსოვს, რომელიც მესამე სართულზე აღიოდა. ლიფტი, რომელშიც არც სარკე იყო და არც სხვა რაიმე ისეთი, რაც ადამიანს მის იქ ყოფნას დაამახსოვრებდა. მუსიკა, უსაფრთხოების მიზნით, განზრახ არ ჩაურთავს. თუმცა ახსენდება, რომ ლიფტში ისმოდა რაღაც მუსიკა. აი, ისეთი, ამგვარ ადგილებს რომ შეეფერება. საშობაო სიმღერა, ანდა საერთოდ ისეთი მელოდია, რომლის დროსაც ბევრ საქონელი იყიდება.

პარტნიორი: ფუნთუშები, თუ მეტი აღარაფინ მიირთმევს, მოგვიანებითაც შეიძლება რომ გამოვიყენოთ. გრძელდება ანექდოტებიც, მაგრამ ისინი აღარაფის აინტერესებს.

სენიორი: ხო, ისიც ფიქრობს, რა მუსიკა შეიძლებოდა იქ ყოფილიყო. გარედან მოესმა. ისიც ნამდვილად იმ ოთახში იმყოფებოდა, სადაც ბატონი გერინგერი და ქალბატონი მერტენსი ბრძანდებოდნენ. ფანჯარასთან იდგა, საიდანაც ქალაქის ხედი იშლებოდა. სულ გარეთ იყურებოდა. მის მზერას სულ ცა და მისი სილაჟვარდე იტაცებდა. ცაში ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. თუმცა, იცოდა, რომ გარეთ შტორმი იყო. შტორმი, რომელიც ჯერ არაფის ენახა და როგორსაც ადამიანი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ თუ იხილავს.

პარტნიორი: ამ დროს კი გამწარებით რეკავს მობილური და არაყის აფიქრდება, რომ უპასუხოს. ტელეფონის ზარი ჯერ კიდევ შემოსასვლელში გაოგო. მთელ სახლში ამ უცნაური ზარის ხმა ისმოდა და ახლაც ისმის. თუმცა, ვერ ხვდება, სად უნდა იყოს ეს ტელეფონი დამალული. მხოლოდფეხის ხმას მოჰკრა ყური. აი, ახლა ის სახლში დადის. აი, ფეხის ხმა. უკვე სადარბაზოშია. ვიღაცა ოთახს მოუახლოვდა. გვერდზე ჩაუარა და გვერდითი ოთახის კარზე დააკაკუნა: ბატონო გერინგერ! ბატონო გერინგერ, აქ ბრძანდებით? მიაყურადა. შემდეგ ისევ კითხულობს: აქ ხართ? ყველანი თქვენ გკლოდებით. მაგრამ პასუხი არავენ გასცა. მხოლოდ რაღაც ხმა გამოდიოდა ხალიჩიდან, ეკრანიდან და თითქოს ჰაერშიც რაღაცა შრიალებდა. ის კი ამ დროს, კედლებში ჭიანჭველებს უგდებდა ყურს და აკვირდებოდა ცას, რომელსაც სულ უფრო მეტად ერეოდა სილაჟვარდე. ეს შრიალი თანდათან ისეთი ხმამაღალი გახდა, რომ მთელი სახლი მოიცვა. კართან მდგომი ნელ-ნელა მოთმინებას კარგავდა. ფიქრობდა, რომ რაღაც უნდა მოემოქმედებინა, და ის იყო, წვდა კიდევ კარის სახელურს, რომ მოულოდნელად ჰაერში გაიყინა, თითქოს მიხვდა, თუ რა სცენა შეიძლებოდა დახვედროდა მას ოთახში.

III სცენა:

გაფიცვა. მარტო პარტნიორი დარჩა. წინ იყურება და ლაპარაკობს.

პარტნიორი: კი მაგრამ, არავენ ვითხრათ?

საქმის კურსში არავენ ჩაუყენებიახართ?

არა, ახლა ამას არ გავაკეთებთ. მართლა, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს.

(იცდის)

ხო, ხელახალი აღდგომა, ახლა სულ ამაზე ლაპარაკობენ. მაგრამ, ეს არც ისეთი იოლია. ხელახალი აღდგომის შესახებ საუბრობდნენ სწორედ ისინი, ვისაც ეს არ ეხებოდა. ისინი, ვინც ამ ხელახალ აღდგომაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ანდა უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ისინი ვისი მონაწილეობაც საჭირო არ იქნებოდა.

ახლა სრული ხელახალი აღდგომა უნდა ვიფიქროთ, სრული ხელახალი აღდგომა. საქმის სანახევროდ შესრულება ამას არაფერს უშველიდა.

(იკდის)

“ძალიან გთხოვთ”, თორემ ყველაფერი თავიდან დაიწყება. ესაა გადარჩენა, როგორც შანსი. დაიფიცეს, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. მაგრამ ხელახალი აღდგომა ახლა არ დადგება. მანამდე კიდევ რაღაც უნდა მოხდეს. შენ მაგალითი ხარ და ყოველთვის იქნებიო, გამუდმებით ეუბნებოდნენ. შენივე თავის მაგალითი. სწორედაც რომ საკუთარი თავის მაგალითია. აბა, სხვა რა უნდა იყოს? განუმეორებელი ხარო - სულ ეუბნებოდნენ, მაგრამ თვითონ მას აღარაფერი ახსოვს.

(იკდის)

მაგრამ ერთი რამ აიტერესებს, როგორც ამბობენ გარდაცვლილები უცბად არ იღვიძებნო. და მაშინ რატომ არის აქაურობა ასეთი ცოცხალი?

დიახ, ამას ახლა თქვენგან შევიტყობთ. გვიამბეთ რა! თქვენ ხომ მთელი დროის განმავლობაში აქ იყავით? ამის გამო გარკვეული ეჭვიც კი ჰქონდა. ამას რატომ აკეთებს? ალბათ ეს კითხვა უკვე ბევრჯერ დაუსვეს. “კი, მაგრამ ამას რატომ აკეთებთ? და რამდენი ხანია რაც ამით ხართ დაკავებულიო?”

- ფიქრობს, რომ ამის გააგრძელება აღარ სურს
- ხო, აღარც სხვები გააგრძელებენ.
- ხო, და ის ფიქრობს, რომ აქ ყველაფერი შეწყდება.
- რა, არა, ესე არ გამოვა?
- რატომაუნდა გამოვა. აუცილებლად გამოვა. ჩვენ ამას ვაეცხვით, აი ნახავთ!

ეპილოგი

(ჩნდება პრაქტიკანტი ან მისი ხმა ისმის. თითქოს, არა ჩვენ, არამედ სხვებს მიმართავს.)

პრაქტიკანტი: ლონდონში, პარიზში და სან დიეგოშია ნაცხოვრები. ლონდონში ცხოვრება კარგად წარმოუდგენია. გარკვეულ პირობებში პარიზშიც იცხოვრებდა. გერმანია ნაკლებად ხიბლავს, მაგრამ მას საინტერესო ეკონომიკური ზონად მიიჩნევს.

ყოველ შემთხვევაში, აღარ აპირებს, რაღაც უაზრო სოფლებში სიარულს, სადაც ოდესმე დიდ მოწყობილობას დადგამენ და უამრავი ხალხი მოიყრის თავს და მან კი, ამ ხალხს უნდა უყუროს. მითუმეტეს, როცა იცის, რომ ყველა ისინი ამ უბედურ მოწყობილობაზე არიან დამოკიდებული. ანდა კიდევ სამშენებლო მასალით მომარაგების ქარხანაზე. მოკლედ, ზოგჯერ ის ნამდვილ სასოფლო-სამეურნეო ექსპურსიაზე ამოჰყოფდა ხოლმე თავს. ზოგჯერ კი, ეს უფრო მორალურ ხასიათს ატარებდა. თავისთვის გაიფიქრებდა ხოლმე, ესენი, რომლებიც ახლა აქ ასე თავისუფლად სხედან, ცოტა ხნის წინ ინფორმაციის გასაგებად რიგში იდგნენო. ლოგიკურია, გადასახადების შესახებ არკვევდნენ რაღაცას. სოფლის მეურნეობისთვის ამას არა აეცს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ შემდგომ შემოიფლიდა ამ უაზრო სოფლებს და ამ

გაჭირვებული რეგიონების ცხოვრებას ხელადა.

ამაზე იტყოდით, ღმერთო ჩემო, ეს ხომ შეუძლებელია და ახლა კიდევ ასი კაცი... თანაც იცი, რომ გარკვეული პროცენტი წინასაპენსიო მდგომარეობაშია ნაჩუქარი, მაგრამ ბევრს ეს ისეთ უბედურებად არ ეჩვენება... ანუ ბევრი არ თვლის რომ სამსახურის უქონლობა უმაღლესი სასჯელია. სხვები უფრო მოხერხებულები არიან და რაღაც ახალს პოულობენ. ამის მიუხედავად, 300 კაცის სამსახურიდან გავღება, მაინც ძნელი საქმეა.

დაგინატავენ სურათს, რომ სამი ოჯახის მარჩენალი, შემოსავლის გარეშე რჩება. ეს ხალხი ხომ ველარსად მოენწყობა, ანდა მათგან ახალ სამუშაოზე მხოლოდ მცირედი თუ მოენწყობა. ამ ხალხს თვალეშიც კი ვერ შეხედავს და ცხადია ძნელი იქნება, მაგრამ ყველა მათგანი, თვითონ უნდა გაათავისუფლო. საბოლოოდ მაინც იქ უნდა იყო, როცა კალკულატორის ამოღება და დათვლა მოგინევს. ვალდებული იქნები, რომ იმათ, ვინც სამუშაოს იძლევა, საკმარისი მუნიციპალიტეტისთვის... ისეთი კალიბრის, როგორც ეს არგუმენტია: სიკვდილი ან სიცოცხლე. ამას, ყველა ეგრევე მიხვდება. მათ შორის, ორგანიზაციის საბჭოც. საუკეთესო გამოსავალია, გამოაცხადოთ, “შესაბამისი ზომები რომ არ მიგველო, ყველას განთავისუფლება მოგვინევდაო”. არა, იქ ძირითადად მიდიოდნენ არა იმდენად მორალური მოსაზრებების გამო, რამდენადაც იმიტომ, რომ მათი ცხოვრების სტილზე უკვე გული ერეოდათ. მთელი ეს ხანმოკლე ძილი, სწრაფი კვება და მსგავსი რაღაცეები. სასტუმროში ღამის გათევა, ბიზნესკლასით ფრენა და პირველი კლასის საცხოვრებლები. ბოლოს ამ ყველაფერს უკვე ველარ იტანდენ. აღარც მინიბარის დანახვა შეეძლოთ. აღარც მინიბარისა და რესეფშენისტების ერთიდაიმავე აახეების დანახვა. არც ხალიჩებზე დანყობილი ყუთების, რომლებიც უკვე დათვლილია და აღაც ისეთი ინტენსივობით თვითფრინავით მგზავრობის ატანა, როგორც

ჩვეულებრივ ავტობუსით მგ ზავრობენ ხოლმე... და
ეს მუდმივი ზრდის ლოგიკაც, რომელსაც ოდესმე
საკუთარი თავის მიმართაც გამოიყენებენ.

- სწორედ მოახდინე ჩემი ციტირება!
- რაა, არ შეგიძლია?
- და კიდევ, რა არ შეგიძლია?

თარგმანი: ირინა ქოლოშვილის